# დროება

## ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 60 ოთხშაბათი, 17 მარტი 1910 წ. № 60

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დაბეჭდილი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახება ინახება ერთის თვით მხოლოთ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან შუადღემდის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვაჩნაძის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЕБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.


ბარბარე, ნინო, მიხეილ, ალექსანდრე, ვახტანგ და არჩილ დავითის ასულნი და ძენი ქართველიშვილები, ვერა დავითის ასული და ალექსანდრე ნიკოლოზის ძე მიქაბერიძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უეცრად გარდაცვალებას: პირველი შვიდი—საყვარელ და დაუვიწყარ დედის, ხოლო უკანასკნელი—სიდედრის

**ელისაბედ იოსების ასულის ქართველიშვილისას.**

პანაშვიდი სამშაბათს, საღამოს 7 საათზე, საკუთარ ბინაზე, ვერაზე—მატინოვის ქუჩა. № 7. გამოსვენება ოთხშაბათს, 17 მარტს, დილის 9½ ს. ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში. დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (2—181—2)

კონსტანტინე, ივანე, დავით, ნიკოლოზ და გიორგი იოსების ძენი, ევა იოსების ასული კნ. ამირაჯიბისა, მაკრინე იოსების ასული პაიჭაძისა, ნინო გიორგის ასული ყავრიშვილი, ანა ანტონის ასული ყავრიშვილისა, თამარ ვლადიმერის ასული ყავრიშვილისა და იოსებ ივანეს ძე პაიჭაძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უეცრად გარდაცვალებას: პირველი შვიდი—საყვარელ დის, მეორე სამი—მულის, ხოლო უკანასკნელი—ცოლის დის

**ელისაბედ იოსების ასულის ქართველიშვილისას.**

პანაშვიდი სამშაბათს საღამოს 7 საათზე. გამოსვენება ოთხშაბათს, 17 მარტს, დილის 9½ საათზე, ბინიდან-მატინოვის ქუჩა, № 7. ქვაშვეთის ეკკლესიაში. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე კუკიაში. (2—183—2)

ქვრივი ბარბალე დავითის ასული, ზაქარია და ვარლამ ნიკოს ძენი, ნიკოლოზ და ალექსანდრე ონისიმეს ძენი მეძმარიაშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—ქმრის, მეორენი—ბიძის კოლეჟსკი სეკრეტრის

**პორფილე ლაზარეს ძის მეძმარიაშვილისას.**

დასაფლავება მოხდება 18 მარტს, ნაშუადღევის 2 საათზე, სოფელ ბაში. (1—კვ.—1)

უზომოდ დამწუხრებული პარასკევა სამსონის ასული ქავთარაძისა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 21 მარტს, უსაყვარელესის მეუღლის

**აზნ. სამსონ ბექანის ძის ქავთარაძის**

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, ფოთის სასაფლაოს ეკკლესიაში გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი. ბოლოს გამოტირილი. (2—ფ.—1)

## ქართული თეატრი

**პარასკევს, 19 მარტს, 1910 წ.**

## ნინო კოლხიდელი

ქართველ მსახიობთა ამხანაგობის დახმარებით გამართავს წარმოდგენას კონცერტითურთ. წარმოდგენილი იქნება:

## პირველი ბუზი

მხიარული კომედია 3 მოქ. ვ. გუნიას მიერ გადმოკეთებული.

მონაწილეობას იღებენ: ნ. კოლხიდელი, ა. კარგარეთელი, ნ. გამყრელიძე, ბ. ასათიანი, ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, გ. გედევანოვი, ა. იმედაშვილი, გ. იმხნელი, დ. მგალობლიშვილი, კ. ქელაძე დი სხვანი.

II

## დივერტისმენტი

ვანო სარაჯიშვილი—იმღერებს რომანსებს. ი. პიახეცკი—წაიკითხავს ლექსებს და სცენებს. ვ. აბაშიძე და გედევანოვი—იმღერებენ კომიკურ კუპლეტებს. ნ. კოლხიდელი—წაიკითხავს ლექსებს. გ. იმხნელი—წაიკითხავს ლექსებს. ნ. ერისთავი—წაიკითხავს ლექსებს. ი. გრიშაშვილი—წაიკითხავს სცენებს და ლექსებს.

**დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.**

(3—1) ადგილების ფასი ჩვეულებრივია. რეჟისორი ვალ. გუნია.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე გ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.- დ ხას. 1—2 ს. დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. ... ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მალალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., პარასკ. 2 3-ნახ. ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი გ ს.** თვალის, ორშ., ...

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე ...

**პაპოვი გ. ა** ქურ., ყელის და ცხვი., ყო დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**სობოლევსკი გ. გ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—6.—133)

## სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შ-ბი ქუთაისში

ამით აცხადებს, რომ მათ მიიღეს განსაკუთრებითი უფლება გაყიდვის რამდენიმე წლით საუკეთესო ხარისხის **ცნობილი ფირმის ხ. ს. ხრისტოდულიდის აბრეშუმის თესლისა**, მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მათ საკუთარ სავაჭროში ქუთაისში. რადგანაც თესლი შემზადებულია საგანგებოთ ქუთაისის გუბერნიის ჰავაზე, ამიტომ მყიდველთ უნდა მიაქციონ განსაკუთრებითი ყურადღება კოლოფზე ქართულ ნაწერს და ბეჭედს სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შვილებისას. (45—151—30)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ვ. გაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**გ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ½ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—296)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს, ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი დ. ახვლედიანი** იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—83

**ექიმი კბილისა რომანიშვილი-დგებუაძისა** იღებს ავადმყოფებს 2—6 საათზე. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასში. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (50—6.—40

**ექიმი შ. მიქელაძე** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაბგეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—51)

**ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—390)

**ექიმი ქუთაისში ფ. ი. ბასნევსკი** იღებს ავადმყოფებს შინაგან სნეულებათა და ბებიაობისას დილით 11—1 საათამდე, საღ., 5—7 საათამდე. კაზაკოვის ქ. N 13. ღარიბებს უფასოდ. (25—კვ.—8)

**ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. 5½—6½ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, ცისტოსკოპია და ურეტროსკოპია (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა) საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტროტერაპია, ელექტრონის ფიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (25—კვ.—27)

**ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—141)

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—6.—124)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი სპეციალისტი ქ. ქუთაისში გ. დ. ბეთანოვი** მიიღებს სიფილისით, ვენერიულის და კანის სენით ავადმყოფებს. აფთიაქის და კლუბის ქ. ქ. კუთხეში N 24/2 ყოველდღე დილის 9—12 ს. და საღამოს 5—8 ს. (25—ფ.—15)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

## ქართველ ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში

იღებენ შესაკერად კაბებს ქალებისას და ბავშვებისას, ძალიან იაფად, აგრეთვე საცვლებს და სხვა და სხვა ხელ-საქმეს „გლადით" და „მეტკებს".

ადრესი: ვერა, გაბაანთ ქ., № 3. (10—9)

ყვირილის სამარხი კასის

## გამგეობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ მორიგი ჩვეულებრივი **საზოგადო კრება კასისა** დანიშნულია ამ წლის 28 მარტისთვის დ. ყვირილაში ადგილობრივ კლუბის დარბაზში, დილის 10 საათზე. (3—6.—2)

მარცვლის რედაქციის

## განცხადება

გაზეთ „მარცვლის" რედაქცია აუწყებს მკითხველებს და ხელის მომწერთ, რომ გაზეთი „მარცვალი" სხვა და სხვა მიზეზისა გამო შეჩერდა. ხელის-მომწერთ თავიანთი ფული მხოლოდ მოთხოვნილებისამებრ დაუბრუნდებათ, რადგან რედაქციის მდივნის დატუსაღების შემდეგ ზოგიერთი საჭირო ქაღალდი დაიკარგა და რედაქციამ ვეღარ გამოარკვია, ვის რამდენი ფული აქვს შემოტანილი. დაიკარგა აგრეთვე ხელის მომწერთა სია. ვსთხოვთ ხელის მომწერლებს, ფულის მოთხოვნის დროს კვიტანცია წარმოადგინონ.

ადრესი: Баку. Докторскій переулокъ, домъ № 5, А. П. Надирадзе.

„მარცვლის" რედაქცია.

## ჟურნალ „სხივის"-ს ხელის მომწერთა და მკითხველთა საყურადღებოდ.

რადგან ჟურნალი „სხივი"-ს გამოცემა დღეიდან ჩემზე გადმოვიდა, ჟურნალი კვლავ იწყებს გამოსვლას იმავე პროგრამით და იმავე შინაარსით, როგორც ამდენ ხანს გამოდიოდა. მორიგი № 12 გამოვა კვირას, 28 მარტს, (ტფილისში გაიყიდება შაბათს, პროვინციებში გაიგზავნება პარასკევს, 26 მარტს). დღეიდან ყოველივე წერილები და ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ Типографія „Культура". Вельяминовская улица, Валеріану Михайловичу Биланову.

ვსთხოვ, იმ ხელის მომწერთ, რომელსაც რომელიმე ნომერი არ მიუღია, შეგვატყობინოს, რომ გავუგზავნოთ.

წლიური ხელის მომწერნი ყველა ნომრებს უკლებლივ მიიღებენ პრემიებითურთ.

(3—1) ვალერიან ბილანიშვილი.

# დემოკრატიის გაერთიანება

1.

რაც უნდა დიდს გასაჭირში ჩავარდეს ერი, სასოწარკვეთილებას მაინც არ უნდა მიეცეს იგი. მისი სიცოცხლის ყოფნა არ ყოფნა ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი. ამ შემთხვევაში ჩვენი მოვალეობაა თვით ერთში, მის არსებულ ძალთა განწყობილებაში, ვეძიოთ სხნა და იმედი უკეთესის მომავლისა. ერი უძლურდება და კვდება არა ბიოლოგიურ კანონის ძალით, არამედ სოციალ-პოლიტიკური ორგანიზაციის უვარგისობის გამო. ორგანიზაცია ერის ძალებისა არის უტყუარი ფარხმალი და გარანტია მისის არსებობა-განვითარებისა.

ქართულ ცხოვრებას რომ გადავავლოთ თვალი, აშკარად დავინახავთ, რომ საორგანიზაციო მუშაობა უკვე დაწყებულია ჩვენში, მაგრამ, ერთის მხრივ, ეს საორგანიზაციო მუშაობა ცალმხრივია—იგი მხოლოდ სულიერ-კულტურულ ინტერესებს შეეხება. მეორეს მხრივ-კი, ეს მუშაობა სუსტი, გაუბედავი მუშაობაა, თითქოს იგი თავის სიღრმეშივე შეიცავს თავის უნაყოფობის თესლებს.

საორგანიზაციო მუშაობის ცალმხრივობა იმაში გამოისახება, რომ იგი ჩვენი ერის ეკონომიურ ძალთა შეკავშირებას არავითარ ყურადღებას არ აქცევს. ამ მუშაობის სისუსტე კი იმაში ისახება, რომ სამუშაო ასპარეზზე გამოსულ საზოგადოებრივ ჯგუფთა შორის სწარმოებს უნაყოფო და უგუნური ძალოა დაქსაქსვა ერთმანეთ შორის ატეხილ ჩხუბსა და მოურიგებლობის გამო.

ეს მოურიგებლობა თვალსაჩინოდ ისახება ქართულ პრესსის დღევანდელ მდგომარეობაში. როდესაც ვიხსენიებ ქართულ პრესსას, სახეში არა მყავს რუსული ჟურნალ-გაზეთობა, რომელიც ქართველების ხელმძღვანელობით გამოდის. ამ ლიტერატურამ ოვითონვე მოსწყვიტა თავისი თავი ქართველ ხალხის ცხოვრებას. რაკი იგი ხალხისათვის გაუგებარი რჩება, არავითარი კავშირი და ურთიერთობა ხალხსა და მის შორის არ არსებობს და არც შეიძლება რომ არსებობდეს. ამ პრესსის ხელმძღვანელებმა ინტელიგენტებმა შეჰქმნეს ჩვენში რუსულ-ქართული ყალბი და გულწრფელობას მოკლებული ოფიციალურ პატრიოტიზმის ბანაკები და წრეები. და დღეს ამ წრეების და ბანაკების განვითარება-გადიდებაზეა დამოკიდებული ქართველ ინტელიგენციის სრული ჩამოშორება ქართველ ხალხის ცხოვრების ნიადაგიდან.

ასე რომ, როდესაც დემოკრატიულ პრესსას ვგულისხმობ, სახეში მყავს მხოლოდ და მარტო ქართული პრესსა. ამ გვარადვე, როდესაც ქართულ დემოკრატიულ მუშაობას ვიხსენიებ, სახეში მყავს განსაკუთრებულად ჩვენი გლეხობა და ის ინტელიგენცია, რომელიც პრესსისა თუ სხვაგვარ მოღვაწეობის საშუალებით ხალხის ინტერესებთან არის დაახლოვებული.

მე ვამბობ, დღეს იმგვარი ისტორიული ხანა დაგვიდგა, როდესაც საჭიროა შეკავშირება საქართველოს ყველა დემოკრატიულ ძალებისა. აუცილებელია საქართველოს მიწისმომქმედთა და მეურნეთა კავშირისათვის საფუძვლის ჩაყრა. ეს კავშირი უნდა იყოს ორგანიზაცია ეკონომიურ-ეროვნული. მისი ლოზუნგი იქნება: მიწა საქართველოს მშრომელ ხალხს და ტერიტორია ქართველ ეროვნებას! ამ საქმის განხორციელება და ამ კავშირის დაფუძნება შესაძლებელი იქნება, თუ მასზე ზრუნვა და ფიქრი დაიწყეს ქართველმა დემოკრატიულმა ჯგუფებმა.

მაგრამ ამ მხრივ დიდ ოპტიმიზმს ნუ მივეცემით. ამ ჯგუფთა გარშემო ისეთი ატმოსფერა დატრიალდა, რომელიც თითქოს წინდაწინვე შეუძლებელ ჰყოფს ამგვარ მოქმედებას. დავა სოციალ-დემოკრატთა და სოციალისტ-ფედერალისტთა შორის არ ახალია. წინად საკამათო გვქონდა სოციოლოგიური პრობლემები, ვარკვევდით ისტორიულ პროცესს, განვითარების კანონებს, ვეწინააღმდეგებოდით ერთმანეთს ერთისა და მეორის განმარტებაში. საღავო გვქონდა კაპიტალის კონცენტრაციის საკითხი და ცხარედ ვეხებოდით მიწის სოციალიზაციის პრობლემების გარშემო. მაგრამ ჩვენი ურთიერთობა განსაკუთრებულად გამწვავდა ეროვნულ საკითხის ნიადაგზე და აქ მართლაც და ფიცხი და სასტიკი იყო ჩვენი შეუთანხმებლობა. ჩვენი შეტაკება აუცილებელი იყო, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ქართველები ვართ და ქართველ ადამიანის შფოთიანი ბუნება ხომ კარგად მოგეხსენებათ. მეორეც იმიტომ, რომ მართლაც სხვა და სხვა პრინციპიალურ ნიადაგზე ვიდექით. მაგრამ პრინციპების განსხვავება ვერ გამოიწვევდა იმ მწვავე შეტაკებას, იმ დავიწყებამდე მიყვანილ მტრობას, რომელიც იყო ჩვენს შორის. საქმე ის არის, რომ კამათი სწარმოებდა უსამართლო ატმოსფერაში. სოციალ-დემოკრატები ს.-ფედერალისტებს ბურჟუაზიულ პარტიად სთვლიდნენ. ნამდვილად კი, როგორც ეს არა ერთხელ გაგვიმარტავს, ს.-ფედერალისტები იმავ სოციალურ ნიადაგზე იდგნენ, რომელზედაც იმყოფებოდნენ ს.-დემოკრატები. ს.-ფედერალისტები ეომებოდნენ იმ საზოგადოებას, რომელიც კერძო საკუთრების პრინციპზეა აგებული და მაშასადამე ისინი ბურჟუაზიის იდეოლოგებათ და ქომაგებათ ვერ გამოდგებოდნენ. ს.-დემოკრატები კი სწორედ ამას სწამებდნენ ს.-ფედერალისტებს და ეს იყო მიზეზი უნაყოფო შეტაკებისა და დავისა პირველ ხანაში, რევოლიუციის დროს.

ახლა დრონი იცვალენ. ამითი იმისი თქმა კი არ მინდა, რომ რევოლიუციის მიერ წამოყენებულ პრობლემებს დღეს ფასი და მნიშვნელობა არა ჰქონდეთ. არც იმისი თქმა მინდა, რომ ჩვენი დავა და კამათი გათავებული, დასრულებული იყოს. არა, მე მხოლოდ ის გარემოება მინდა აღვნიშნო, რომ თუმცა დღესაც ნაკლები მნიშვნელობა არა აქვს კონცენტრაციის, სოციალიზაციის, ავტონომიის, ფედერალიზმის და სხვა ამგვარ საკითხებს, ხოლო დღეს, ისტორიულ პირობების შეცვლის გამო, მათ უფრო თეორიული ხასიათი მიეცათ. პოლიტიკური კონიუქტურა დღეს იმგვარია, რომ სოციალიზმის პროპაგანდა შეუძლებელი გახდა, არც ავტონომიის პრობლემის განმარტებისათვის არის გამოსადეგი ატმოსფერა. დრო კი იყო, როდესაც ყველა ამაზე ვლაპარაკობდით, ხშირად განყენებულად და ზოგადად, ისე, როგორც ვლაპარაკობთ ხოლმე რაიმე პრაქტიკულ და ადვილად განსახორციელებელ საქმეზე. გარემოება შეიცვალა. ახალმა დრომ თვალებ წინ აგვიტუზა ცხოვრების ისეთი მხარე, რომელსაც ჩვენ რევოლიუციის დროს არა ვხედავდით. საქართველო სოციოლოგიურ და სოციალისტურ პრობლემების გასარკვევი ლაბორატორია გვეგონა. გამოირკვა კი, რომ ჩვენ პატარა ხალხი ვართ მემცხვარეებისა, მევენახეებისა და მიწით-მომქმედთა მომუშვეთაგან შემდგარი. გამოირკვა, რომ მემცხვარეებს საძოვარი ადგილები არა აქვთ, მევენახეებს, მეყანეებს და საზოგადოდ მიწის მომქმედთ სავენახე და სახნავ-სათესი ადგილები აკლიათ. და ამასთან ერთად გამოირკვა ისიც, რომ სადგომი ბინაც ალარსად მოგვეპოვება. განა თუ წინად არ ვიცოდით ყოველივე ეს. არა წინადაც ვიცოდით. ხოლო რევოლიუციის ხანაში თვალებზე რაღაც ბინდი გვეფარა და სადაც კოლექტივისტურ-კომინისტური წესწყობილება სულ რამდენიმე ნაბიჯის მანძილზე გვეგულებოდა, იქ საძოვრის და საყანეს პრობლემა როგორ უნდა მოგვგო-

ნებოდა. სოციალურ-რესპუბლიკის დამკვიდრებით გადასწყდებოდა ყოველივე ეს.

დღეს სინამდვილემ თვალები აგვიხილა თავად-აზნაურობის მიწა სახელმწიფო ბანკის საშუალებით რუსთა კოლონიზაციის საქმისათვის ყოფილა განზრახული. ეს გეგმა, მოსაზრება კი არ არის, არამედ უკვე შემზადებული და რეალური საქმე. რუსეთის კოლონიზაციამ უნდა დაიჭიროს ადგილები, რომლებზედაც იმედი ჰქონდათ ჩვენს გლეხებს. რუსეთის კოლონიზაციამ უნდა გვშთანთქას ეკონომიურად და ეროვნულად. ეკონომიურად იმიტომ, რომ რაკი სოფლის მეურნეს სოფელში აღარ დაედგომლება, მრეწველობის განუვითარებლობის გამო ჩვენს ქვეყანაში, მას სხვა თავშესაფარი ადგილი აღარ ექმნება. ეროვნულად იმიტომ, რომ მიწიდან აყრილ ხალხის გათქვეფა მრავლად დასახლებულ რუსთა კოლონიებში ადვილი საქმე გახდება.

აი რა აღმოჩნდა რევოლიუციის შემდეგ ხანაში. ამ ფაქტების უარყოფა, არ დანახვა შეუძლებელია. შეიძლება სთქვათ, გაითქვიფება, გაითქვიფოს, ციტანი გათქვეფილან. ეგ სხვა კითხვა იქნება. მაშინ ჩვენ შორის სალაპარაკო არა არის რა. მაგრამ ამას დღეს ჩვენში, მგონი, არავინ აღიარებს. ვამბობ, მგონი, რადგან დარწმუნებული არა ვარ ამაში. არიან იმისთანებიც, ვინც აუშფოთლივ ადევნებს თვალებს ჩვენი ხალხის ამ განსაცდელს და ვისაც ტუჩებიდან ღიმილი არა შორდება, როდესაც დასცქერის ამ გარემოებით დასევდიანებულ ინტელიგენციას. დიახ, ამგვარი „მეპრესეებიც" არიან დღეს ჩვენში.

ყველა ეს გამოირკვა. ხოლო რას ვაკეთებთ ამის წინააღმდეგ? რა ღონე იღონა ქართულმა დემოკრატიამ უბედურების თავიდან ასაცილებლად? ჯერ ხნობით არაფერი. და ერთი მიზეზთაგანი ის არის, რომ ჩვენი სოციალ-დემოკრატები ისევ ძველ ნიადაგზე სდგანან, ისევ ყველანი გარდა თავის თავისა ხალხის მტრებათ მიაჩნიათ და ისევ საზოგადოებრივ საკითხთა გარკვევის დროს შფოთს და ძალთა დაქსაქსვას სთესენ. სოციალიზაციასა და ავტონომიაზე არ არის დღეს ლაპარაკი. კულტურულ საქმეების გადაწყვეტაშიაც ვერ შევთანხმებულვართ. ვსთქვათ, ჩვენ ბურჟუები ვართ. ვსთქვათ, სოციალური პრობლემის გადაწყვეტა მრუდეთ გვესმის. მაგრამ ნუ თუ არ არის არც ერთი საგანი, სადაც სიმართლე ჩვენსკენ იყოს. ს.-დემოკრატიის პრესსას თუ დაუჯერეთ, არ არის ამგვარი საგანი. თან რადიკალურ ინტელიგენციის სახელით გვნათლავენ, თან კი გვახასიათებენ როგორც უკიდურესს რეაქციონერებსა და კონსერვატორებს. რადიკალები, დემოკრატები და სოციალისტები, გარდა კერძო საკუთრების პრობლემის საკითხისა, ყველა კულტურულ და სოციალური რეფორმის საკითხებში ხომ ხელი-ხელ გადაბმულნი არიან თავიანთ მოქმედებაში ევროპიულ ქვეყნებში. ჩვენებური „რადიკალები" და „დემოკრატები" კი ხან ფეოდალების მესვეურებათ გამოდიან, ხან ბურჟუაზიულ ინტერესების წუმპეში ეფლობიან. ასე სჯიან ს.-დემოკრატები! და მოდით ამ პირობებში ილაპარაკეთ დემოკრატიის გაერთიანებაზე.

მაგრამ ჩვენ მაინც გვინდა ჩამოვაგდოთ ბაასი ამის შესახებ. პირველი იმიტომ, რომ ამ გაერთიანებაშია დღეს ჩვენი ხსნა. მეორე იმიტომ, რომ სოციალ-დემოკრატიის და ჩვენ შორის არსებული უთანხმოება ზერელეა და პრინციპიალურ ხასიათის უთანხმოებად არ მიგვაჩნია და ეს ჩვენთვის სავსებით გახდება ნათელი, როდესაც გადავავლებთ თვალს წარსულ თვეებში ჩვენ შორის აღძრულ სადაო კითხვებს.

**არჩილ ჯორჯაძე.**

# სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპ. სააგენტ.)

**მიწათ მოქმედების სამმართველოს ხარჯთ აღრიცხვა.**

15 მარტის სხდომაზე სათათბირომ განაგრძო განხილვა მიწად-მოქმედების მთავარ სამმართველოს ხარჯთ-აღრიცხვისა. ამ სხდომაზე საინტერესო არაფერი მომხდარა. კამათიც ბევრი არაფერი ყოფილა.

მიიღეს ხარჯთ-აღრიცხვანი: სახელმწიფო მამულების დეპარტამენტისა, მიწად-მოქმედების დეპარტამენტისა, სასოფლო ეკონომიის და სტატისტიკის განყოფილებისა, სამიწათ-მოქმედო გაუმჯობესების განყოფილებისა და სატყეო დეპარტამენტისა.

კამათი გამოიწვია მხოლოდ მიწად-მოქმედების და სატყეო დეპარტამენტების ხარჯთ-აღრიცხვებმა. პირველ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს დიდი ყურადღება მიაქციეს სასოფლო-სამეურნეო სწავლა-განათლებას. აღნიშნეს, რომ ეს საქმე ცუდად არის დაყენებული. მეორე ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს-კი აღნიშნეს, რომ ტყეებს სჩეხენ და ანადგურებენ, ხოლო მათ გაშენება-გაუმჯობესებაზე არავინ ფიქრობს.

სათათბირომ ყველა ხარჯთ-აღრიცხვა საბიუჯეტო კომისიის რედაქციით მიიღო.

**შეკითხვა კავკასიის ნამესტნიკს.** სხდომის დასასრულს წაიკითხეს შეკითხვა კავკასიის ნამესტნიკის მიმართ. შეკითხვა შეეხება იმ ძალ-მომრეობას, რომელსაც ითმენენ თურმე ჩაჩნის მცხოვრებნი სხვა და სხვა რაზმებისაგან. ამ რაზმებს ადმინისტრაცია ჰგზავნის ყაჩაღების შესაპყრობად. შეკითხვა კომისიას გადაეცა.

# დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან

16 მარტი.

**საზღვარ-გარედ.**

**პირიში.** ამ ჟამად ანჟერში ფედერაციათა და მასწავლებელთა სინდიკატების კონგრესია. კონგრესმა სასურველად იცნო მასწავლებელთა და მუშათა სინდიკატების დაახლოვება და ერთად მოქმედება, რომ პირველ დაწყებით სკოლების რეფორმა მუშათა კლასის სასარგებლოდ მოხდეს.

**სტამბოლი.** „ტანინი" ეხება ოსმალეთის ოფიციალურ განცხადებას ბოლგარიის მეფის, ფერდინანდის ჩამოსვლის შესახებ და სწერს: თუმცა ფერდინანდი ბოლგარიას სასარგებლო კონცესიებს და საკავშირო ხელ-შეკრულობას არ ჩაუტანს, მაგრამ სამაგიეროდ თან მიაქვს ოსმალეთის გულწრფელი ნდობა, რაიც კონცესიასა და ხელშეკრულებებზე მნიშვნელოვანია. ოსმალეთმა ბოლგარიას ნდობა გამოუცხადა, ბოლგარიამ გულწრფელად ესევე უპასუხა. ურთიერთ ნდობა და მეგობრობა ხელშეკრულებებზე მნიშვნელოვანი და სასარგებლოა.

**კატანია.** ეტნის მთიდან აუარებელ ლავას 1. (ნაცარ-ტუტა) ამოდის. ლავის ერთი ნაკადული ფრა-დაავოლოსკენ მიდის, მეორე — მონტეფუზაროსკენ.

**სპარსეთი**

**თავრიზი.** სომხების სასწავლებლის სადგომში ახალგაზრდა სპარსელებმა წარმოდგენა გამართეს წაიკითხეს ლექსები და წარმოსთქვეს აუარებელი სიტყვები. ლექსებიც და სიტყვებიც რუსეთის წინააღმდეგ იყვნენ მიმართულნი. უცნობმა წაიკითხა თავისი ლექსი, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ შესაძლებელია რუსეთ-სპარსეთის ომი და ამ ომში სპარსეთის გამარჯვება, რადგან სპარსელები იაპონელებზედ მაღლა სდგანანო. წარმოდგენას დაესწრნენ თავრიზის პოლიცმეისტერი, ბახტიარების წინამძღოლი სერდარბოგადური და ეფრემა. რამდენიმე სპარსელმა და მათ შორის სათარ-ხანის ენჯუმენის თავმჯდომარედ ნამყოფმა, პროტესტი განაცხადეს იმის გამო, რომ რუსეთს ცუდად იხსენიებდნენ.

**თეირანი.** მინისტრებმა უკან წაიღეს თავიანთი თხოვნები სამსახურიდან გადადგომის შესახებ. სამინისტრო წინანდელი დარჩება. სეპეხდარის წინააღმდეგ მოქმედება ძლიერდება. აბრალებენ რუსეთის სასარგებლო მოქმედებას.

**რუსეთი**

**ცარიცინი.** რამდენიმე ბოროტ-განმზრახველი სადგურ ბეკეტოვკაზედ თავს დაეცა გოლდობინების ტყის-სახერხავ ქარხნის კასირს. ბოროტ-განმზრახველებმა წაიღეს 514 მანეთი. დააპატიმრეს ორი ბოროტ-განმზრახველი.

**სამარა.** სამოსამართლო პალატამ განიხილა სამარა-ზლატოუსტოვის ტელეგრაფის რკინის გზის ტელეგრაფის უფროსის, ინდოლავსკის და ტელეგრაფისტის კროლკოვის საქმე. ბრალდებოდათ 1905 წელს ხელმწიფე-იმპერატორის დეპეშის გადაუცემლობა ლინკვიჩისათვის. სასამართლომ ორთავეს ოთხ-ოთხი თვით სატუსაღო მიუსაჯა.

**პეტერბურგი.** 15 მარტს სახელმწიფო სათათბიროში შეიტანეს კანონ-პროექტი ფინლიანდიის და იმპერიის საერთო კანონების გამოცემის შესახებ.

ხელმწიფე-იმპერატორის ბრძანებით ფინლიანდიის არეულობის დროს, 1905 წელს დაზარალებული ჟანდარმები ფინლიანდიის ხაზინამ უნდა დააკმაყოფილოს.

**ლიბავა.** პოლიციამ აღმოაჩინა სოციალ-დემოკრატების ორგანიზაცია. წაიღეს სტამბა და აუარებელი ლიტერატურა. ბევრნი დააპატიმრეს.

**ყაზანი.** ოლქის სასამართლო შეუდგა ორი კაცის და მათ შორის ბეითალ ილინის საქმის გარჩევას. ბრალდებათ ყალბი ოქროს ფულის კეთება და გავრცელება. მოწმეებად მოწვეულია 200 კაცი.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭოს პროექტით კანონები ფინლანდიისათვის ორი წესით გამოიცემა: საერთო საიმპერიო საკანონმდებლო და განსაკუთრებული წესი შეეხება მხოლოდ ფინლანდიის შინაგან საქმეებს. შინაგან წყობილების ძირითადი საფუძველნი იცვლებიან საერთო საიმპერიო საკანონმდებლო წესით, მის უდიდებულესობას თანხმობით. საერთო საიმპერიო საკანონმდებლო წესით გამოიცემა კანონები: შესახებ ფინლანდიის მონაწილეობისა სახელმწიფო ხარჯებში, ფინლანდიის მცხოვრებთა მიერ სამხედრო ბეგრის გადახდისა, რუსეთის იმ ქვეშევრდომთა უფლებისა, რომლებიც ფინლანდიის მოქალაქეები არ არიან, საჯარო კრებებისა, საზოგადოებებისა და კავშირებისა და შესახებ იმ უფლებისა, რომელიც უნდა ჰქონდეთ ფინლანდიაში იმპერიის სხვა ნაწილებში დაარსებულ საზოგადოებათ და ამხანაგობათ. საერთო კანონმდებლობას ეკუთვნის აგრეთვე კანონმდებლობა პრესსისა და ფინლანდიაში უცხოეთიდან ბეჭდვით ნაწარმოების შემოტანისა, ფინლიანდიისა და იმპერიის სხვა ნაწილებ შორის სადამოჟნო ურთიერთობისა, ფინლიანდიაში სავაჭრო და სამრეწველო პრივილეგიებისა, სალიტერატურო და სამხატვრო საკუთრებისა, ფულის საქმისა, ფოსტისა, ტელეფონისა, ჰაერში ფრენისა, რკინის გზებისა, რკინის გზის ტელეგრაფისა, სავაჭრო ზღვაოსნობისა და უცხოელთა უფლების შესახებ. ამ საქმეთა სიის შეცვლა უნდა მოხდეს საზოგადო საკანონმდებლო წესით.

ზემოხსენებული საქმეები, სანამ მინისტრთა საბჭოს გადაეცემოდეს, უნდა წარედგინოს ფინლიანდიის სენატს აზრის გამოსათქმელად. სახელმწიფო საბჭოსა და სათათბიროს უფლება აქვთ ფინლანდიის სენატს ვადა დაუნიშნოს თავის აზრის წარმოსადგენად. ის კანონ-პროექტები, რომლებიც შეეხებიან ფინლიანდიის სეიმის კომპეტენციას, სახელმწიფო საბჭოსა და სათათბიროში წარდგენამდე, გადაეცემიან ფინლიანდიის სეიმს აზრის გამოსათქმელად. სეიმმა თავისი აზრი უნდა გამოსთქვას იმავე სესიის დროს, რომლის დროსაც წარედგინება კანონ პროექტი. სეიმის აზრი რუსულ ენაზე დაწერილი უნდა იყოს გადმოცემული. საერთო კანონმდებლობის დადგენილებათ რუსეთში აცხადებს საზოგადო წესით უმართებულესი სენატი, ხოლო ფინლანდიაში გენერალ გუბერნატორი. ამ კანონთა განმარტების უფლება ეკუთვნის უმართებულეს სენატს. საზოგადო წესით გამოცემული კანონები აუქმებენ ფინლანდიის იმ კანონებს, რომლებიც მას არ ეთანხმებიან. სახელმწიფო საბჭოსა და სათათბიროში შევლენ ფინლანდიის წარმომადგენლები: სეიმი ირჩევს ერთ წევრს სახელმწიფო საბჭოში. (დამახინჯებულია ტელეგრაფით); სახელმწიფო სათათბიროში აირჩევენ ოთხ წევრს ფინლანდიის მოქალაქეები და ერთს რუსეთის დანარჩენი ქვეშევრდომნი, რომელნიც ფინლანდიის მოქალაქეებად არ ითვლებიან. რუსულ ენის უცოდინარს ვერ აირჩევენ სახელმწიფო საბჭოსა და სათათბიროს წევრად.

# ახალი ამბავი

**ტფილისი**

✦ **ძეგლი გრიგოლ ვოლსკის საფლავზე.** ბათუმიდან შემდეგი წერილი მივიღეთ: „მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ძვირფასი საზოგადო მოღვაწე და მწერალი გრიგოლ ვოლსკი დასაფლავებულია ბათუმის ქართველთა ეკკლესიის გალავანში. ვინაიდან განსვენებულის დასაფლავების დღესვე დამსწრეთა შორის გამოითქვა სურვილი, რომ ვოლსკის საფლავი უსათუოდ შემკული იქმნეს ძეგლით, ამისათვის ქართველთა შორის წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის სკოლის გამგეობამ აირჩია ცალკე კომიტეტი, რომელსაც დაავალა შეიმუშავოს ძეგლის გეგმა და იმისი დადგმის ხარჯი.—კომიტეტის გამოანგარიშებით ძეგლი დადგმით ეღირება არა უმეტეს 400-450 მან.—კომიტეტი სრული დარწმუნებულია, რომ განსვენებული ვოლსკის საზოგადო და ლიტერატურული მოღვაწეობის პატივისმცემელნი ბრძანდებიან არა მარტო ბათუმის ქართველთა შორის რომელნიც, იმედია, მოისურვებენ მატერიალური მონაწილეობა მიიღონ მის ძეგლის აგებაში. ამისთვის კომიტეტი, მოგმართავთ რა ამ ბარათით თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ, უმორჩილესად გთხოვთ გაავრცელოთ ეს მოწოდება თქვენს ნაცნობთა შორის, რომელნიც, თუ კეთილ ინებებენ, თავიანთ წვლილს ძეგლის ასაგებ ხარჯის დასაფარავად მოგვაწვდიან შემდეგის ადრესით: Батумъ: Ефимію Семеновичу Бердзенишвили. (კომიტეტის ხაზინადარი). კომიტეტის თავმჯდომარე გ. ჟურული. კომიტეტის წევრი ი. მესხი".

✦ **ტფ. ქალაქის საბჭო.** ტფ. ქალაქის საბჭოს სხდომა 15 მარტს გვიან დაიწყო იმის გამო, რომ ბევრი წილი ხმოსნების ამ დღეს ნაშუადღევის 2 საათიდან საღამოს 9 ნახევ. საათამდე გამგეობის სხდომაში იღებდა მონაწილეობას მეოთხე საობლიგაციო სესხის განაღდების შესახებ შეთანხმების დასასრულებლად. სხდომის დაწყებისათანავე თავმჯდომარემ აცნობა საბჭოს, რომ ამ საღამოს გამგეობამ უკვე დაასრულა შეთანხმება ბელგიის ბანკის

# მონტე-კარლო

(სცენა საგიჟეთში)

**მოთხრობა სტიუარტისა.**

— ჰა, ჰა, ჰა! ჰა, ჰა, ჰა! მომშორდით, გამეცალენით!.. მომაშორეთ ეს ოქრო! ხელებსა მწვავს... ღვთის გულისათვის!..

ჩემს წინ ხტოდა და იგრიხებოდა თავგაპარსული, ჯაგარის მსგავს მოკლეწვერა ქაღარა ულვაშებიანი მაღალი გამხდარი მოხუცი. დაწითლებულ თვალებს მხეცურად აბრიალებდა და წამდა-უწუმ საგნიდან საგანზე გადაჰქონდა.

უნებლიეთ კარებისაკენ დავიხიე, სადაც იდგა ამ ყვითელ კედელთა გულ-გრილი ზედამხედველი, და წასვლა დავაპირე კიდეც, როდესაც სიგიჟის მწვავე ქარმა ერთბაშად გაუარა შეშლილს და, როგორც ყოველთვის იცის ხოლმე, ამის მოდუნება და სიწყნარე მოჰყვა. აბადმყოფობით დაუძლურებულ და უდროვოდ დაბერებულ სახეზე ოფლი დაასხა. უძლურად დაეშვა იატაკზე მიმაგრებულ სკამზე და რაღაც გაურკვეველი ბუტბუტი დაიწყო.

— ბოდიშს იხდის,—წამჩურჩულა ზედამხედველმა.

შეშლილმა შემომხედა,—ეს იყო იმის ნაცრისფერ კეთილ თვალების ჩვეულებრივი გამოხედვა,—და ღიმილით მითხრა:

— გინდათ, მოგიყვეთ?—თუმცა არა სთქვა, რას უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ თავის დაქნევით ვანიშნე, მინდა-მეთქი.

როგორღაც შიშით მოავლო თვალი თავის მარტოხელ ოთახს, ამოიხვნეშა და დაიწყო:

„სწორედ შობის წინა დღე იყო. მონაკოში ვიყავი მაშინ, მთელ დღეს თავგანწირული ვებრძოდი რულეტკას, მაგრამ რაღაც ცუდი ბედი თითქო ჩემს ზურგს უკან იდგა: სადაც უნდა დამედო ფული, მოხელე იმ წამსვე მოუსვამდა ნიჩაბს და მიჰქონდა ჩემი ფული. საღამომდის, რაცა მქონდა, სულ წავაგე. წაიღეს უკანასკნელი ოქრო, ავდექი და წყნარად მოვშორდი სათამაშო მაგიდას, თუმცა ვგრძნობდი, რომ ფეხები მეკეცებოდა. ღონე მიხდილი დავეშვი სავარძელზე მოთამაშეთა მოშორებით. ზიზღით ვუყურებდი სათამაშო მაგიდებს და მოთამაშეთა გროვას, მათ საბრალო, ვნებისაგან დაგრეხილ სახეებს. მაგრამ მაინც კიდევ რაღაც თრთოლას მგვრიდა და სისხლს ძალზე ამოძრავებდა ოქროს გაჩხარუნება. დროგამოშვებით ვნება იფეთქებდა ხოლმე ჩემში და წინისკენ მეზიდებოდა; წამოვხტებოდი და რაღაც მაიძულებდა კვლავ გავრეულიყავ ამ სასიკვდილო ბრძოლაში, მაგრამ აქ მაგონდებოდა რომ ფული აღარა მქონდა და არც შოვნა შემეძლო სადმე.

შინ გატენილი დამბაჩა მქონდა. „ერთბაშად გათავება სჯობია მეთქი"!—გადავწყვიტე და ავდექი შინ, სასტუმროში, წასასვლელად. ამ დროს მომიახლოვდა მოხუცი გამხმარი პოლონელი, რომელმაც აგრეთვე აქ წააგო ოდესღაც მთელი თავისი ქონება და მას აქეთ მუდამ ტრიალებს აქაურ სათამაშო ოთახებში. ახლად მოსულებს ეცნობოდა და ფულს ესესხებოდა. მეც არა ერთხელ გადამიგდია იმისთვის ფული, რათა თავიდან მომეშორებინა.

— საჩქაროდ მასესხეთ ხუთი ფრანკი,—მომმართა მეტის მეტად აღელვებულმა:—მეორე დღეა მეცამეტე ნომერს თვალს ვადევნებ და, წარმოიდგინეთ, არც ერთხელ არ ამოსულა! დამცინეთ, თუ გნებავთ, მაგრამ ხელი მომჭერით, თუ ეხლავე არ ამოვიდეს. ვინც ამ ნომერზე ითამაშებს, ქონებას მოიგებს!

მე მხრები-ღა ავიჩეჩე: ხუთი ფრანკი! ჯიბეში ხუთი სანტიმიც აღარა მქონდა.

დერეფანში გავედი, დავიხურე ქუდი და ბაღში ჩავეშვი. ჩქარის ნაბიჯით გავშორდი კაზინოს, იმის მომხიბლველ ბაღებს, რომელთაც მთვარე უხვად აფრქვევდა თავის ვერცხლის ფერ სინათლეს, და ქუჩაში გავედი. ისე ვკანკალებდი, თითქო ციებამ მომიარაო. ვცდილობდი, თავი დამემშვიდობებინა, აი ეხლავე შინ მივალ და ერთბაშად გათავდება ყველაფერი მეთქი.

ერთბაშად, როდესაც მიყრუებულ ქუჩაში მივდიოდი, კინაღამ ფეხი დავადგი პატარა გოგოს. მათხოვარას, რომელიც მიჰკროდა კედელს და ღრმად ეძინა. ფეხშიშველა იყო საბრალო; ცალ ხელზე მკრთალი სახე ჰქონდა დაყრდნობილი, მეორე ხელი, სანახევროდ გაშლილი, დაკონკილ კაბის კალთაში ედო. ეტყობოდა, ძალზე დაღლილიყო, მეტი სიარული აღარ შესძლებოდა, დავარდნილიყო და იქვე მისძინებოდა. ჩემდა უნებურად ჯიბეზე ხელი მოვისვი, რომ მოწყალება მიმეწვდინა, მაგრამ გამახსენდა, რომ მეც გლახა ვიყავი. მაინც სიბრალულის გრძნობით გატაცებულმა დავილუნე, რომ გამეღვიძებინა, და ერთბაშად დავინახე, თითქო რაღამაც გაიბრწყინა იმის გაშლილ ხელში. ახლო დავხედე: ოქროს ფული იყო! ალბად, ვინმე მიმავალმა, ბედნიერმა მოთამაშემ შენიშნა ჩემსავით ეს საბრალო გოგო; შეიძლება იგრძნო აგრეთვე სიბრალული, გაახსენდა, რომ დიდი დღესასწაულის წინა დღე იყო და გულუხვი მოწყალება მოიღო.

ოქროს ფული! ეს ფული მთელ სიმდიდრეს წარმოადგენდა საწყალ ბავშვისათვის. დავილუნე კიდეც, რომ გამეღვიძებინა და შემეტყობინებინა ასეთი უეცარი ბედნიერება, როდესაც წყეულ პოლონების ჩახლეჩილმა ხმამ გაიხრიალა ჩემს ყურში: „აგერ მეორე დღეა თვალს ვადევნებ მეცამეტე ნომერს და არც ერთხელ არ ამოსულა. ხელს მოვიჭრი თუ ეხლავე არ ამოვიდეს".

მძინარე ბავშვს მოვპარე ოქროს ფული, ბატონო, და გიჟივით გავექანე სათამაშო დარბაზისაკენ...

როდესაც შევედი, ათი საათი იყო. ერთის საათის თამაში დამრჩენოდა. იმ წამსვე მოუსაზრებლად დავაგდე ჩემი ოქროს ფული მეცამეტე ნომერზე. გამოვიდა. მოგებული ოცდათექვსმეტი ოქროს ფული წითელზე გადავალაგე. წითელმა ფერმაც მოიგო. თვალები ამიჭრელდა: თითქო ყველაფერი ხტოდა ჩემს გარშემო—ოქრო, სავარძლები, ხალხი. გონება დაბნეული თამაშს განვაგრძობდი და... ბედი ჩემსკენ იყო. ცოტა ხნის შემდეგ მარჯვნივ და მარცხნივ ოქროთი და ქაღალდის ფულის გროვა დადგა. სადაც უნდა დამედო ფული, მოგებას ვიყავი. რაღაც გაუგებარი და სასწაულებრივი ბედი მეწვია.

თამაშს განვაგრძობდი და თანაც ბოროტ-სიტკბოებას ვგრძნობდი. ბედმა დამათრო. ხან და ხან მაგონდებოდა ფერ-მიხდილი გოგონა. უეცრად გაქცევის სურვილი მომივლიდა, მაგრამ თითქო მძიმე ბორკილი გაეყარათ ჩემთვის, მაგიდასთან მიჯაჭვულივით ვიჯექი. „აი, გავიქცევი, მოვნახავ იმ ბავშვს. ჯერ ხომ სძინავს ნამდვილად! მივალ, ავიყვან ხელში, მოვიტან ჩემს ოთახში, ოქროში ჩავსვამ, გავზდი, მზითევს მივცემ, მეყვარება მუდამ, მუდამ!.."—ვფიქრობდი მე. მაგრამ ადგილიდან არ ვიძვროდი და თამაშს განვაგრძობდი. ბოლოს საათმა თერთმეტი დაჰკრა. თამაში გათავდა.

გონს მოვედი. გავტენე ჯიბეები ფულით და კარისკენ გავეშურე.

სირბილით მივირბინე აღელვებულმა იმ ადგილას, სადაც ეძინა პატარა ბავშვს. ჯერ კიდევ შორიდან ფარნის სინათლეზე დავინახე, რომ ის ისევ იქვე იწვა და იმავ მდგომარეობაში იყო. „მადლობა ღმერთს"—გავიფიქრე და მოსვენებით ამოვითქვი სული,—ჯერ კიდევ აქ არის!"

მივუახლოვდი და ფრთხილად მოვკიდე ხელზე. გაყინული იყო! მინდოდა ხელში ამეყვანა ბავშვი, რომ ჩემთან წამეღო. თავი უკან გადაუვარდა. გაღვიძება მოვინდომე და ტუჩებით იმის თვალებს შევეხე, რომ მეკოცნა... მაგრამ თავზარდაცემულმა შევნიშნე, რომ ქუთუთოები სანახევროდ ღია ჰქონდა, ხოლო თვალები გაშტერებოდა; თვალები არ უხამხამებდა, გაჩერებოდა, ჩამქრალი, უსიცოცხლო თვალები...

სანამ იმის მოპარულ ოქროთი ვთამაშობდი, წუთისოფელს გამოთხოვებოდა... შეიძლება შიმშილისა და უღონობისაგან... ხა, ხა, ხა!.. წყეულ იყავ, კრულ იყავ!..

საბრალო მივარდა ფანჯრის მოაჯირს... ისევ მოუარა სიგიჟემ.

ჩვენ წამოვედით. **ი. —ლი.**

...[illegible] წარმომადგენელს ბ-ნ ფლატესთან ერთად სობლიგაციო სესხის განაღდების შესახებ. ბელგიის ბანკის წარმომადგენელმა მოაწერა პირობას ხელი და პირობის განხორციელების უზრუნველსაყოფელად ბედ შემოიტანა ჯერ ჯერობით 100,000 მანეთი. ბანკის წარმომადგენელმა ობლიგაციების განაღდება აკისრა 87 მანეთი 50 კაპ. თავმჯდომარემ აუწყა საბჭოს, რომ დაწვრილებით მოხსენებას შემდეგ სხდომაზე წარმოგიდგენთო. ამის შემდეგ საბჭოს წარედგინა განსახილველად მიმდინარე საქმეები. საბჭომ ფეხზე ადგომით პატივი სცა განჯის ქალაქის თავის აწ განსვენებულ ადიგეზალოვის ხსოვნას. ხანგრძლივი კამათი გამოიწვია ფუნიკულერის საზოგადოების შუამდგომლობამ [illegible]ჯურის რკინის გზის გაყვანის ვადის ერთი წლით გადადების შესახებ. ვადა გზის დამთავრებლად თავდება 1912 წელს. ხელშეკრულობის ძალით, ფუნიკულერის საზოგადოებას გზის გაყვანის უფლებას რომ მოეპოვებინა, 1910 წლის 24 მარტამდე ქალაქის სალაროში წინად წარდგენილ 10,000 მანეთისთვის უნდა მიემატებინა კიდევ 20,000 მან. რკინის გზის გაყვანის უზრუნველსაყოფელად. თუ დანიშნულ ვადამდე უფლებას ვერ მოიპოვებს საზოგადოება, მაშინ ბე 10,000 მან. ქალაქის საკუთრებად უნდა ჩაირიცხოს. საზოგადოება ეხლა თხოულობს, რომ გზის გაყვანის ვადა 1913 წლამდე გადაიდოს. გამგეობა თანახმაა საზოგადოების წინადადებისა იმ პირობით, რომ მან ბე გაადიდოს. საბჭომ დაადგინა, ქალაქის გამგეობისა და იურიდიულ კომისიის შეერთებულ სხდომას, შეიმუშაოს პროექტი შეთანხმების პირობებისა. საბჭომ მიიღო გამგეობის დადგენილება ნავთლუღის ...ლაბარში ქალაქის წყლის მილის გაფართოების შესახებ.

**სახალხო უნივერსიტეტი.** ორშაბათს, 15 მარტს, მოხდა სხდომა ტფ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობისა. გამგეობამ ამ სხდომაზე 17 ლექცია გაანაწილა ლექტორთა შორის. ეს ლექციები ივნისის დამდეგამდე უნდა წაიკითხონ ლექტორებმა სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოდ. გამგეობამ დაადგინა, ახლო მომავალში გამართოს ჩეხოვის დილა. ამას გარდა, გამგეობის წევრი არაქელიანცი წაიკითხავს ლექციას „კავკასიის დაპყრობაზე“ (მაჰაბაზის ხელთ ნაწერები კავკასიის დაპყრობის შესახებ). შემდეგ გამგეობამ დაადგინა იშუამდგომლოს ქალაქის გამგეობის წინაშე, ნება დართოს სახალხო უნივერსიტეტს სახალხო სახლით დაუბრკოლებლად ისარგებლოს.

**დამფასებელნი.** ტფ. ქალაქის საბჭომ ორშაბათს, 15 მარტს, ქალაქის დამფასებლად აირჩია ვას. ლ. რცხილაძე და ლ. ფ. ...რანოვი. ნ. გ. ქართველიშვილი არ აირჩიეს. მესამე. წევრის არჩევა 22 მარტისთვის გადაიდო.

**ექიმი და რევოლვერი.** 15 მარტს პოლიციაში ქუთაისის მოქალაქე კონსტანტინე ემჩინოვმა შემდეგი განაცხადა: 14 მარტს, დილის 10 საათზედ, კიროჩნისა და ...ნდრეევის ქუჩების შესართავთან მცხოვრებ ექიმს გუსტავ დობრუიცკის ვსთხოვე საექიმო დახმარება აღეწია ჩემი დედისათვის. ექიმმა მითხრა, ხვალ მოვალო. ხვეწნის შემდეგ ექიმი შემპირდა, საღამოს 8 საათზე მოვალო. როცა შინ დავბრუნდი, ვნახე, რომ დედა უფრო ცუდად გამხდარიყო, მიტომ დავბრუნდი ექიმთან, რომ მეთხოვნა, უსათუოდ წამოსულიყო. ექიმმა გადაჭრილი პასუხი მომცა, არ წამოვალო, მაშინ მე შევნიშნე: თქვენ, როგორც ექიმი, ვალდებული ხართ წამოხვიდეთ და დახმარება გაუწიოთ ავადმყოფსა მეთქი. დობრუიცკიმ არა მითხრა რა, მეორე ოთახში გავიდა, იქიდან რევოლვერი გამომიზნა და დამიძახა: „მომშორდები თავიდან თუ არა“. შევშინდი, გამოვიქეცი და სხვა ექიმს მივმართე დასახმარებლადაო.

**კათალიკოსის ჩამოსვლა.** 20 მარტისათვის ტფილისში მოელიან სომეხთა კათალიკოსს იზმირილიანს.

**უვარგისი ზეთი.** ამ ბოლო დროს ტფილისში გასასყიდად გამოიტანეს ყოველად უვარგისი ზეთი ამ წარწერით „სამარხო ზეთი საქმეებისათვის ძმ. ი. და ბ. გურევიჩები ოდესაში. ამ ზეთის თვისებაში ეჭვი შეეპარათ და იგი შესამოწმებლად გაუგზავნეს ქალაქის ქიმიურ ლაბორატორიას. ქიმიკოსის გამოკვლევით ზეთი აღმოჩნდა ნავთისა, კუპრით შეფერილი, რომელსაც ნამდვილი ზეთისა არა აცხია რა. ქალაქის ქიმიკოსმა ითხოვა, აუცილებლად აიკრძალოს ეს ზეთი. ადესიდან ეს ზეთი გამოწერილი ჰქონია დახურულ ბაზარში ზაქ. პაპოვსა და დანიელიანცს, ძმ. გრიგორიანცების სავაჭრო სახლს, კომისიონერს ტიულმონს და სხვებს. ტიულმონს ქალაქში გასასყიდად უნდა შემოეტანა ამ დღეებში რკინის გზით 28 ბოჩკა. ეს ამბავი ქალაქის გამგეობამ აცნობა სავაჭრო სამეურნეო პოლიციის აგენტებს.

**ჰაერში ფრენა.** 8 მარტს ოდესაში დიდი ამბავი იყო. რუსი ავიატორი ეფიმოვი ჰაეროპლანით ჰაერში აფრინდა და ყველანი აღტაცებაში მოიყვანა. ამ ამბავს დაესწრო 50,000 კაცი და ქალი. ეფიმოვი რამდენჯერმე აფრინდა და საოცარის სიმარდით ტრიალებდა თურმე ჰაერში. აზრადა აქვთ, ეხლა ეფიმოვი ტფილისში მოიწვიონ. როგორც ვიცით, ტფილისში არსებობს „ჰაერში მფრინავთა წრე“. წრის თავმჯდომარეს სტრატონოვს დეპეშა გაუგზავნია ოდესაში და უთხოვნია ამ ცოტა ხანში ტფილისში ჩამოსვლა. ჰაერში აფრენა მოხდება დიდის მინდორზე.

**სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება.** დღეს, 17 მარტს, საღამოს 8 საათისთვის დანიშნულია საზოგადო კრება კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა. კრება, სხვათა შორის, განიხილავს მოხსენებას შემოდგომაზე ხილეულობის გამოფენის გამართვის შესახებ, მოწერილობას კავკასიის ნამესტნიკის წესდების შეცვლის შესახებ, მოხსენება სამეურნეო საზოგადოების ძველ საოპერაციო ბიუროს მოქმედების შესახებ და სხვა.

**კაცის მოკვლა.** 15 მარტს, ღამის 10 საათზე, ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის ცენტრალურ კანტორიდან ამანათების გადამზიდავი ავტომობილი რკინის გზის სადგურისაკენ წავიდა. ავტომობილს მართავდნენ გრიგოლ მაილოვი და შვეცარ კელლერი. შიგ ისხდნენ ფოსტის მოხელე კაშიასა და პაფიუკოვი. მიხეილის და ნეკრასოვის ქუჩების შესართავთან ავტომობილი ერთ სამხედრო კაცს წამოეწია, წააქცია, გადაუარა და ნეკნები და მკერდი ჩაუმტვრია. უცნობი გრძნობა დაკარგული საავადმყოფოში გაგზავნეს, სადაც იგი მალე გარდაიცვალა. გარდაცვალებულის ვინაობის გამორკვევას შეუდგნენ.

**პრაქტიკული დახმარება.** მიწათ-მოქმედების მთავარ სამმართველოს აზრადა აქვს პრაქტიკული სამეურნეო დახმარება გაუწიოს მცხოვრებლებთ. ამიტომ სამმართველო შეეკითხა თავის ადგილობრივ დაწესებულებას, შეგვატყობინეთ მეურნეობის რომელ დარგში უფრო ესაჭიროებათ მცხოვრებთ პრაქტიკული დახმარება და რა დროს სჯობია აგრონომებმა იარონ ხალხში პრაქტიკულ ცოდნის გასავრცელებლადო.

**ექ. სობოლევსკის ლექცია.** როგორც გავიგეთ, ამ ცოტა ხანში ექიმი სობოლევსკი წაიკითხავს მეორე თავის ლექციას აფრიკაში მოგზაურობის შესახებ.

15 მარტს ღამე პოლიციამ ჩხრეკის დროს რიყეზე ზურაბ კოშტოიანცის დუქნის საბილიარდოში აღმოაჩინა ბანქოს სათამაშო სახლი. სათამაშოდ შეკრებილიყო 36 კაცამდე. აქვე გაჩხრიკეს ლუდხანა სიკო კაპანაძისა, სადაც ჩუმად ქალები იკრიბებოდნენ. პოლიციამ კოშტოიანცი და კაპანაძე პასუხის გებაში მისცა.

## მოწერილი ამბები

**ხონი.** მეაბრეშუმეობა საქართველოში თან და თან ვრცელდება და მკვიდრთა სამეურნეო დარგში საპატიო ადგილს იჭერს. უფრო ვრცელდება და ფეხს იკიდებს მეაბრეშუმეობა ქვემო იმერეთში. ქვემო იმერეთში თითქმის ყოველი ოჯახი მისდევს მეაბრეშუმეობას. აბრეშუმის წარმოება დიდ როლს თამაშობს გლეხკაცის ეკონომიურ კეთილდღეობაში. დღეს ერთ-ერთ საგრძნობ შემოსავლიან წყაროს გლეხკაცობისას მეაბრეშუმეობა შეადგენს. ქვემო იმერეთის ცენტრი მეაბრეშუმეობის მხრით ხონია და ახლო-მახლო სოფლები. აქ არც ერთ დარგს მეურნეობისას იმდენი სარგებლობა არ მოაქვს, რამდენიც ამას. ამასთან არც იმდენ შრომას საჭიროებს ეს დარგი, რამდენსაც სხვა. ქალები მისდევენ მხოლოდ მეაბრეშუმეობას.

თუმცა მეაბრეშუმეობა ფრიად მნიშვნელოვანი დარგია მეურნეობის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი უყურადღებოდ არის მიტოვებული. იმის ასადორძინებლად და ასაყვავებლად არავინა ზრუნავს, სარგებლობა იმისგან კი ყველას უნდა. რასაკვირველია ეს საქმე რომ კარგად იყოს დაყენებული, გლეხკაცობას სამჯერ უფრო მეტი სარგებლობა ექნებოდა. ჩვენმა ქალებმა არ იციან პირველ ყოვლისა სადი აბრეშუმის თესლის ყიდვა. ისინი ყიდულობენ იმ თესლს, რომელიც უფრო იაფია. იაფად კი, სამწუხაროდ, ცუდი თესლი იყიდება. ეს ერთი იმ დამაბრკოლებელ მიზეზთაგანია, რომლის წყალობითაც არა ძლიერდება წარმოება აბრეშუმისა.

შემდეგ, არ იციან ქალებმა აბრეშუმის ჭიის მოვლა და შესაფერად ხელის შეწყობა. დიდ როლსა თამაშობს ცრუ-მორწმუნეობა. ხშირად როცა ჭია წაუხდებათ მოუვლელობის გამო, ამას აბრალებენ გათვალვას, ან სხვა ასეთ რამეს. მოვლის გარდა, არ იციან ჭიის ავადმყოფობები, არ იციან განსაკურნავი წამლები და სხვა. ისიც არ იციან, როგორ მოაშორონ აბრეშუმის ჭიას ჭიანჭველა. ამ შემთხვევაში შელოცვას მიმართავენ და იმდენად გულუბრყვილონი არიან, რომ სჯერავთ შელოცვის ძალა. არ იციან ეგრეთვე ბჟოლის ფოთლის სუფთად შენახვა და ცუდი ფოთლით ხშირად შხამავენ აბრეშუმის ჭიას. ყველა ამის გამო აბრეშუმს ხშირად სარგებლობის მაგიერ ზარალი მოაქვს.

აი, ასეთ მდგომარეობაშია დღეს მეაბრეშუმეობა ქვემო იმერეთში. თუ საქმე შემდეგშიაც ასე წავიდა, შეიძლება ხალხს გული აუცრუვდეს და სულ ხელი აიღოს ამ დარგზე. საჭიროა დახმარება და ამ საქმეზე ზრუნვა, მცოდნე კაცების მხრივ. სხვას რომ თავი გავანებოთ, სოფლის ინტელიგენციას შეუძლიან ურჩიოს გლეხობას სადი აბრეშუმის თესლის შეძენა. ამას გარდა შუამდგომლობა უნდა აღიძრას, სადაც ჯერ არის, რომ ბაზარზე აიკრძალოს უვარგის თესლის შემოტანა. სოფლის ინტელიგენციას ადვილად შეუძლიან გაიგოს, ვისია კარგი თესლი და სოფლის ყრილობაზე გამოაცხადოს, რომ ამ და ამ კაცს კარგი თესლი აქვსო. საჭიროა იაფ-ფასიან წიგნების გავრცელებაც მეაბრეშუმეობის შესახებ. ასეთ წიგნაკების გამოცემა ბევრი არ დაჯდება. ურიგო არ იქნება აქა-იქ სოფლელებს ლექციები წაუკითხონ მეაბრეშუმეობაზე და სხვა. ერობა რომ იყოს ჩვენში, ეს საქმე სულ ადვილად მოეწყობა, მაგრამ ეხლა სოფლის ინტელიგენციის ვალია ამაზე ზრუნვა.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ ერთი სამწუხარო მოვლენა: ბჟოლის ხეები თან და თან ხმება და თუ ასე გაგრძელდა საქმე, ცუდი მომავალი მოელის აბრეშუმის წარმოებას. აქაც დახმარება საჭიროა: უნდა მიაწოდონ ხალხს ბჟოლის საუკეთესო ჯიშის ნერგები და უნდა ასწავლონ, როგორ მოუარონ ნერგებს. ყოველივე ამაში დახმარებას გაუწევდა სოფლელს სამეურნეო ჟურნალი „მოსავალი“, რომ იგი აქეთ მხარეს მოდიოდეს და ვრცელდებოდეს. კარგი იქნება, ამ ჟურნალის აგენტურა მოეწყობოდეს ჩვენსკენ.

ვინმე ქართველი.

## შეკითხვა ქუთაისის თავ.-აზნაურთა საკრებულოს.

უმორჩილესად გთხოვთ, თქვენს გაზეთში მომითავსოთ წერილი ქუთაისის თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს და იმის მდივნის (მაჭავარიანის) საყურადღებოდ.

თვით ბ-ნ მდივანსაც უნდა მოეხსენებოდეს, რომ 1909 წლის შემოდგომაზე, ნივთიერ მდგომარეობით იძულებული, მე ვცდილობდი, ხარკოვის უნივერსიტეტიდან კიევის უნივერსიტეტში გადასვლას, რითაც საშუალება მეძლეოდა შემეფარებინა თავი ძმისთვის, რომელიც იქ პრაპორშჩიკად არის, და ამით ჩემი ჩვეულებრივი გატანჯული მდგომარეობა ცოტათი მაინც შემემსუბუქებინა. მე, როგორც ქუთაისის თავ.-აზნაურთა სტიპენდიატმა, ვაცნობე ეს გარემოება საკრებულოს მდივანს და თან ვსთხოვე, ოქტომბრის სტიპენდია, რომელიც მერგებოდა, არ გამოეგზავნა ჩვეულებრივად ხარკოვში იმ დრომდის, სანამ ჩემგან ხელმეორედ არ მიიღებდა ცნობას და უნივერსიტეტის მოწმობას. ჩემი საქმე მალე მოეწყო და საჭირო ცნობები ოქტომბრის დამლევსვე გავუგზავნე საკრებულოს, თანაც, რასაკვირველია, ვსთხოვდი, დაეჩქარებინა ფულის გამოგზავნა კიევის უნივერსიტეტში. იმედი მქონდა, რომ მალე ოქტომბრის სტიპენდიას მივიღებდი, მით უმეტეს, რომ სხვა ამხანაგებს უკვე მიღებული ჰქონდათ. მაგრამ, საუბედუროდ ჩემდა, იმედი არ გამიმართლდა არა თუ ამ თხოვნის შემდეგ, არამედ ტელეგრამის შემდეგაც, რომელიც გავგზავნე ამა წლის იანვრის ათ რიცხვში. გავიდა დრო, პასუხი არ მივიღე, ამიტომ მივმართე ღია წერილით საკრებულოს მდივანს და ვსთხოვე, ეცნობებინა ის მიზეზები, რომელნიც აბრკოლებდნენ ფულის გამოგზავნას. ღია წერილი გავგზავნე თებერვლის დამდეგს. მაგრამ მდივანმა არც ამაზე გამცა პასუხი.

ასე და ამ ნაირად, ოქტომბრიდან დაწყებული დღემდის არა თუ ფული ვერ მივიღე, ჩემ დეპეშებსა და წერილებზე პასუხსაც ვერ ვღირსე. ვერ გამიგია, რით ავხსნა ეს სიჩუმე. მე-კი ამ ხნის განმავლობაში დიდ გაჭირვებაში ჩავარდი.

მსურს ეხლა თქვენი გაზეთით შევეკითხო საკრებულოს და მდივანს, მიიღეს თუ არა ჩემგან საჭირო ქაღალდები და, თუ მიიღეს, რა მიზეზი აბრკოლებს, რომ ამდენი ხანი ფულს არ მიგზავნიან? პირველის უარჰყოფა მდივანს არ შეუძლიან, რადგან მამაჩემთანაც ეთქვა, რომ „ქაღალდები მივიღეო“. რაც შეეხება მეორეს, ე. ი. ფულის გამოუგზავნელობისას, ამის შესახებ მდივანს ეთქვა, რომ „ასიგნოვკა“ არა ჰყოფილაო“. სწორედ გასაოცარი ამბავია: როგორ მოხდა, რომ ჩემი ამხანაგებისთვის, რომელთაც დეკემბრის ფულიც მიიღეს, იყო „ასიგნოვკა“ და ჩემთვის კი არა?! მე-კი ვფიქრობ, რომ მდივანია დამნაშავე, რომელსაც, ალბად, კიევის სტიპენდიანტთა სიაში არ ჩაუწერივარ. ამნაირ დასკვნამდე მიმიყვანა შარშანწინდელმა მაგალითმაც, როდესაც ჩემ მიერ გამოგზავნილი ხარკოვის უნივერსიტეტის მოწმობა მდივანს თავის ადგილას არ მოეთავსებინა და, ამის გამო მთელი ნახევარი წელიწადი უსტიპენდიოდ დავრჩი.

მივმართავ თავ.-აზნ. კრებას უმორჩილესის თხოვნით, მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება და თუ სტიპენდია დამინიშნა, ბარემ ფულიც გამომიგზავნოს და ნუ მაგდებს გაჭირვებაში.

ქუთ. თავ.-აზნაურთა სტიპენდიატი სტუდ. **ხვიჩო ჯაფარიძე.**

**რედაქციისაგან.** როგორც ეტყობა, ქუთაისის თავ.-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს ჩვეულებად გადაექცევია ფულის გაუგზავნელობა. კვირას, 14 მარტს, ტფილისის ქართულ-რუსულ გაზეთებში დაიბეჭდა დეპეშა ოდესის ქართველ სტუდენტებისა (იხ. „დროება“ № 58). სტუდენტები იუწყებიან, სამი თვეა ქუთაისის თავად-აზნაურთა სტიპენდიანტებს ფული არ მიუღიათო. ადვილი წარმოსადგენია, რა გაჭირვებაში ჩავარდებოდნენ ამ სტიპენდიებზე დანდობილი სტუდენტები, რომელთაც მთელი სამი თვე გროში-კაპეიკი არ მიუღიათ, მაგრამ ფულს ხომ არა ჰგზავნიან და არა, შეკითხვის დროს პასუხსაც არ აღირსებენ ხოლმე ქუთაისის თავად-აზნაურობის თანამდებობის კაცნი და მისი საკრებულო სტუდენტ სიმონ ჯაფარიძეს დეპეშა გამოუგზავნია საკრებულოსთვის, შემდეგ წერილებით მიუმართავს საკრებულოს მდივნისთვის, მაგრამ ამ უკანასკნელს უბრალო ღია ბარათის ღირსადაც არ გაუხდია. ასეთ დაუდევრობას შედეგი ჩვენმა რედაქციამაც გამოსცადა თავისთავზე.

შარშან აპრილში ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავად დავით ნიჟარაძისაგან მივიღეთ დაბეჭდილ ბლანკზე დაწერილი შემდეგი წერილი: „უმორჩილესად გთხოვთ მომავალს გუბერნიის კრებაშიდ ხმის მქონე თავად-აზნაურთა სია, რომელსაც ამასთანავე გაახლებთ, დაბეჭდოთ უმახლობლეს ნომერშიდ თქვენის პატივცემულის გაზეთისა, რომლის ერთი ნომერი და ანგარიში, თუ რა ერგება რედაქციას სიის დასაბეჭდი, მიბოძოთ“. სია მესამე დღესვე დავბეჭდეთ. ანგარიში, განცხადებისა, რომელმაც დიდი ადგილი დაიჭირა, 50 მანეთი, გაუგზავნეთ თავ. დავით ნიჟარაძეს. მას აქეთ აი, თითქმის ერთი წელიწადი გადის, პირველ ანგარიშის და წერილის გარდა, დღემდე უკანასკნელი ათი წერილი და დეპეშა მაინც გაუგზავნეთ თავ. ნიჟარაძეს, მაგრამ პასუხს ვერ იქნა და ვერ ვეღირსეთ. ერთი დეპეშა ოქტომბერში საკრებულოსაც გაუგზავნეთ და თუმცა, მადლობა ღმერთს პასუხი მივიღეთ, მაგრამ სანუგეშო კი არაფერი იყო ამ პასუხში. საკრებულო გვწერდა: მაგ ფულისთვის თავ. ნიჟარაძეს მიმართეთო..

ვიმეორებთ, ფულის გამოუგზავნელობას კიდევ ჯანი გავარდეს, მაგრამ ეს უპასუხობა რაღაა! თავ. დავით ნიჟარაძე, ვინ იცის, რამდენი წელიწადია მაზრის წინამძღოლად არის, ეხლა იგი აირჩიეს კანდიდატად გუბერნიის წინამძღოლის თანამდებობაზე და ნუ თუ იმდენი არ ესმის, რომ უბრალო ზრდილობა მოითხოვს ათ წერილსა და დეპეშაზე ერთი პასუხი მაინც გასცე...

## წერილი ორენბურგის გუბერნიიდან

მეორე წელიწადია, რაც ქალაქ ჩელიაბინსში ქართული ბიბლიოთეკა დაარსდა ქართვ. გადმოსახლებულთათვის, რომელთა რიცხვი ჩვენს მაზრაში 300-დე აღის. ლაპარაკი მეტია თუ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს სამშობლოს მოწყვეტილ ხალხისთვის სამშობლო ლიტერატურას. ხვეწნა-მუდარით და მშიერ-ტიტველი ხალხის კაპეიკებითაა იგი შეძენილი და გასაკვირველი არ არის, თუ თვალის ჩინივით ვუვლიდით და ვუფრთხილდებით. მაგრამ ავზნე ადამიანები ყველგან არიან და მათში დანაკლისი არც ჩვენა გვაქვს.

1907 წლამდე პოლიტიკური და არა პოლიტ. გადმოს. ერთმანეთში იყვნენ არეულნი, ერთ ორგანიზაციაში შეერთებულნი „კოლონიის“ სახელით. ამ ერთმანეთში გათქვეფამ ბევრი ცუდი ნაყოფი გამოიღო და ძირიანად შეარყია ადგილობრივ საზოგადოების შეხედულება გადმოსახლებულებზე, იმ საზოგადოების, რომელიც გულ-უხვად გვეხმარებოდა. სამშობლოში შანტაჟსა, ძარცვა-გლეჯას და ქურდობას დაჩვეულმა ხალხმა თავისი ხელობა, რასაკვირველია, არც აქ დაიშალა, და, რაც უარესია, ყველა ეს ხალხი სხვა და სხვა პოლიტ. პარტიის სახელს ატარებდა. ყოველი რჩევა-დარიგება უნაყოფო რჩებოდა და ამნაირად ახერხებდნენ როგორც თავისას, ისე სხვის საქმესაც. მათის წყალობით დაინგრა ორი კოლონია. მათმა ბელადებმა გაჰფლანგეს ასობით შეგროვილი ფული. დაშორება აუცილებელი შეიქმნა, რაც კიდეც მოხდა.

მოეწყო ახალი კოლონია „პოლიტიკურ გადმოსახლებულთა“, რომელშიაც შედის ყველა პოლიტ. და ზნეობრივად საიმედო გადმოსახლებული განურჩევლად ეროვნებისა და მიმართულებისა. თავის თავად ცხადია, რომ ასეთმა ნაბიჯმა ზოგიერთების წყრომა დაიმსახურა, მაგრამ მათ უკვე ზიანის მიტანა აღარ შეეძლოთ ძველებურად და ჩქარა თავი დაგვანებეს, მხოლოდ ქართველების ერთი ჯგუფი, ბ-ნ მ—ის მეთაურობით, ვერ შეურიგდა თავის ბედს და ყოველი ღონე იხმარა, ხელი შეეშალა. ამ ჯგუფმა არ დაიხია თვით ჯაშუშობის წინ, რომ თავისი გაეტანა, მაგრამ როცა ვერას გახდა, ცხენისა და უნაგრის ანდაზისა არ იყოს, იერიში მიიტანა იმაზე, რაც ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი იყო—ბიბლიოთეკაზე. წიგნებით, რასაკვირველია, ყველა სარგებლობდა, და აი ამ ჯგუფმა დაიწყო სისტემატიურად მითვისება წიგნებისა და გაზეთების. როცა გაზეთების გატანა გაძნელდა, დაიწყო სიარული ფოსტაში და მთელი თვე მოტყუებით მიჰქონდა ბიბლიოთეკარის სახელზე მისული ლიტერატურა, სანამ არ გავუგეთ. ბოლოს იქამდის გაკადნიერდნენ, რომ პირდაპირ განაცხადეს, გაზეთები ყველასთვის მოდის და ამიტომ ჩვენ უნდა მოგვდიოდეს, გეყოთ რაც თქვენ იბატონეთო. საქმე იქამდის გამწვავდა, რომ იძულებულნი გავხდით ამ ჯგუფისთვის (სულ 10 კაცია) ლიტერატ. სარგებლობა აგვეკვეთა. მარტო 1908 წ. დაგვიკარგეს 42 წიგნი და 179 ჟურ.-გაზეთი.

ამან, როგორც მოსალოდნელი იყო, მთელი აურ-ზაური გამოიწვია. ამ დღეებში წარმოგვიდგინეს მოთხოვნილებები, რომელშიაც თხოულობენ ყველას კოლონიაში მიღებას. გაზეთებით სარგებლობის ნებას და სამართალში იწვევენ რამდენსამე ამხანაგს, ვითომც და ცილის წამებისათვის. მაგრამ ვინაიდან ასეთი სამართალი არა ერთხელ ყოფილა, ვინაიდან მათგან არა ერთი აუსრულებელი პირობა მიგვიღია, არა ერთი ფაქტი გვაქვს მათის უზნეობისა და უნაყოფოდ ვთვლით მათთან მეტ დავას, ვაძლევთ უკანასკნელ პასუხს და წინადადებას, რომლის შემდეგაც ყოველ პირად მოლაპარაკებას გათავებულადა ვთვლით.

1. ეგრეთ წოდებული მ—ის ჯგუფი ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება მიღებული კოლონიაში, როგორც ზნეობრივად არა საიმედო ადამიანები (ჯაშუშობა, ქურდობა, შანტაჟი, მეძავ ქალებით ვაჭრობა და სხვ. უზნეო საქციელისათვის).

2. ჟურნალ-გაზ. სარგებლობა შეუძლიანთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაიცავენ არსებულ წესებს.

დასასრულ, ულრმეს მადლობასა ვწირავთ გაზ. „დროებას“, „ფონს“, „სხივს“ და „მომავალს“, რომლებიც უფასოდ გვაწვდიან თავიანთ გამოცემებს. ვთხოვთ სხვა ყველა ჟურნალ-გაზეთებს და განსაკუთრებით „ახალ სხივს“, რომელიც რაღაც მიზეზით არ მოგვდის, მოგვაწოდონ თავიანთი გამოცემანი. ადრესი: **Г. Челябинскъ (Ор. губ.) до востреб. пол. сыл. В. Лежава.**

მინდობილობით **ვ. ლეჟავა.**

# სპარსეთი

**ახალ წლის დღესასწაული.**

„რ. სლოვო“.ს ატყობინებენ თეირანიდან: ქერბალაისა და ნეჯეფის მუშტეიდებმა დაამტკიცეს თეირანის სამღვდელოების დადგენილება, რომ ახალ წელიწადი არავინ იდღესასწაულოს. 9 მარტს გამოაცხადეს, რომ შაჰის სასახლეში ჩვეულებრივი სალამი აღარ იქნება გადახდილი. ხალხმაც ზედმიწევნით შეასრულა სამღვდელოების დადგენილება და ახალი წელიწადი აღარავინ იდღესასწაულა. დღეს—9 მარტს, (ახალწელიწად დღეს) თეირანის ბაზრები დაკეტილი დგას და ქუჩებს არავითარი სიცოცხლე არ ეტყობა“.

**სესხის საქმე.**

რეშტის ენჯუმენში ამ დღეებში კრება მოახდინა 600 ვაჭარმა და მებატონემ და მოილაპარაკა, რა შემწეობა აღმოუჩინოს გილანის პროვინციამ მთავრობას სესხის საქმეშიო. გულმხურვალე პატრიოტულ სიტყვების შემდეგ გადასწყვიტეს, კომიტეტი დაფაარსოთ და დავავალოთ, რომ გილანის მცხოვრებლებს შეძლების დაგვარად გააწერონ ფული. გილანში სულ 200 ათასი მცხოვრებია; აქედან სულ 20 ათას კაცს დააკისრებენ თვე და თვე ფულის შემოტანას: 8 ათასმა თვეში თითო 30 კრონი უნდა გადაიხადოს, 12 ათასმა—თითო 20 კრონი, და დანარჩენმა 20 ათასმა თითო 20 კრონი. თვეში სულ შეიკრიბება 68 ათასი თუმანი. ასე რომ წელიწადში გილანის პროვინციაში შეიკრიბება სულ 1732,000 მანეთი (1 თუმანი—2 მანეთია). კრებამ გადასწყვიტა, ეს ფული ხუთის წლის განმავლობაში ვაკროვოთო. რეშტელებმა ეს ამბავი დეპეშით აცნობეს მეჯლისს და ურჩიეს, მთელ სპარსეთშიაც ესეთი წესი დაწესდესო, გინდ მხოლოდ 900,000 მცხოვრებს გააწერონ ფული, წელიწადში შეიკრიბება $33^1/_2$ მილიონი.

# ქალთა ოთხ-კლ. სასწავლებელი ლანჩხუთში

(შემდეგი *)

ბ-ნთ შუხუთელის, გ. პ. და „პედაგოგის“ მომხრეებმა*) უკვე დაარწმუნეს ნიგოითის საზოგადოების ერთი ნაწილი, რომ მათ ბავშვებს ნიგოითიდან შეუძლიათ ფეხით სიარული შუხუთში სწავლის მისაღებად. ნიგოითის საზ. შუა ადგილიდან შუხუთამდის 7 ვერსია, ხოლო ნიგოითის აღმოსავლეთ საზღვრიდან კი—11 ვერსი. შვიდის ან თერთმეტი ვერსის ყოველ დღე იქითაქეთ გავლა პატარა ქალს კი არა, მოწიფულ კაცსაც არ შეუძლიან. რომ შევაძლებინოთ ბავშვებს შეუძლებელი და ნიგოითიდან ფეხით ვგზავნოთ შუხუთში, იმ შემთხვევაში მათ სამი-ოთხი მანეთის ფეხ-საცმელი დასჭირდებათ და ამ ფულით ბავშვისთვის ბინის დაქირავებაც კი შეიძლება როგორც შუხუთში, ისე ლანჩხუთში. საზოგადოდ ზამთარში და კერძოდ წვიმიან ამინდში ხომ შუხუთის მოსაზღვრე სოფელიც ვერ შესძლებს შუხუთში თავის ბავშვების ფეხით გზავნას; რადგან ეს უკანასკნელი იმ ადგილს, სადაც შუხუთელები ფიქრობენ სასწავლებლის გახსნას, ოთხი ვერსით არის დაშორებული. მით უფრო შეუძლებელია ბავშვების ფეხით გზავნა შუხუთში აცანასა და აკეთიდან, რადგან ეს უკანასკნელნი 7 8 ვერსით არიან დაშორებულნი (სამხრეთ-აღმოსავლეთით) შუხუთს და გზაც, ნიგოითთან შედარებით, უვარგისი და სახიფათოა. ამნაირად, ნიგოითიდან, აცანიდან და აკეთიდან ბავშვების გზავნა ფეხით შუხუთში შეუძლებელია ფიზიკურად და საზარალო ეკონომიურად, ამიტომ როგორც დანარჩენი ექვსი საზოგადოება, ისე აკეთის, აცანის და ნიგოითის საზ. მცხოვრებნიც იძულებულნი იქნებიან დაუქირაონ ბავშვებს ბინა სოფელ შუხუთში.

ახლა ვნახოთ, რამდენად ხელსაყრელი იქნება ამ სამი საზოგადოებისათვის შუხუთში სასწავლებლის გახსნა და იქ ბინის დაქირავება. ვფიქრობ, რომ რამდენადაც მეტი ხარჯი მოუვათ ამ სასწავლებლის აგებაზე მცირე რიცხოვან შუხუთის მცხოვრებთ, რამდენადაც მეტი დაედება თვითეულ კომლს კისერზე ამ სასწავლებლის შესანახად, იმდენად უფრო აიწევს ბინის ფასი და იმდენად უფრო მეტს გადაახდევინებენ ბინაში სხვა საზოგადოებიდან მოყვანილ ბავშვებს: რა თქმა უნდა, სანოვაგის ფასიც აიწევს, ნამეტნავად რკინის გზით მოტანილ სანოვაგისა, რომელიც ჯერ ლანჩხუთში უნდა მოიტანონ და შემდეგ ურმებით შუხუთში წაიღონ. გარდა ამისა, სხვა საზოგადოების მცხოვრებს რომ ბავშვი გაუხდეს ავად, ლანჩხუთიდან ექიმის მიყვანა შუხუთში ოთხი მანეთი მაინც დაუჯდება, ე. ი. ორი მანეთით მეტი, ვიდრე ლანჩხუთში დაუჯდებოდა. წამლის მოსატანადაც გამგზავნის თოვნა დასჭირდება და ამასაც ხომ დრო და ხარჯი უნდა! ძნელი იქნება ნიგოითელებისთვის მისვლა-მოსვლაც ბავშვების სანახავად, ნამეტნავად წვიმიან და სუსხიან ამინდებში, როცა იძულებულნი იქნებიან რკინის გზით ჯერ ლანჩხუთს ჩავიდნენ (სამ მაურად) და შემდეგ შუხუთისაკენ გასწიონ ან ფეხით, ან დაქირავებულ ცხენით. აკეთელი და აცანელი თუ რვა ვერსს გაივლის შუხუთამდის, ის არც ვერსს-ნახევრის გავლას დაერიდება ლანჩხუთამდის, რადგან იქ სხვა საშინაო საქმეც გამოუჩნდება: ან ექიმთან ექნება საქმე, ან ფოსტაში, ან სასამართლოში, ან საავადმყოფოში, ან ვაჭართან და სხ... ამნაირად, გამოდის, რომ აცანის, აკეთის და ნიგოითის საზოგადოებისათვისაც სასწავლებლის დაარსება უფრო ხელსაყრელია ლანჩხუთში, ვიდრე შუხუთში, რადგან მათ აქ ყოველივე უფრო ადვილად ემოვება და ამასთან ლანჩხუთში, როგორც ცენტრში, მისვლა-მოსვლაც თავის-თავად უხდებათ.

ეხლა თითონ შუხუთს გადავავლოთ თვალი. შუხუთელებს დღესაც არა აქვთ ისეთი პირველ-დაწყებითი სკოლა, რომელშიაც შეიძლებოდეს ორ-სამ მანეთად ბავშვების მომზადება მარინეს ქალთა სასწავლებელში მისაღებად. ამიტომ ყოველი ღარიბი ოჯახი იძულებული იქნება მოუმზადებლად მიაბაროს მარინეს სასწავლებელს და იქ უბრალო წერა-კითხვის სწავლებაშიაც კი ოცდახუთი მანეთი იხადოს ორი-სამი წლის წლის განმავლობაში. ძნელი მოსალოდნელია, რომ კარგი მასწავლებელი დასთანხმდეს (ზემო-ხსენებულ ეკონომიურ მოსაზრებით) მიყრუებულ შუხუთში სამსახურს და რომელიც დასთანხმდება, ისიც ეცდება, რაც შეიძლება მალე სხვაგან გადავიდეს და თავი მიანებოს უოველ-გვარ კულტურულ დაწესებულებას მოკლებულ შუხუთს. ეს გარემოება თავის-თავად არა-სასურველ გავლენას იქონიებს მოწაფეების აღზრდა-განათლებაზე, რაშიაც, ვგონებ, შუხუთელებიც სხვებსავით დაინტერესებულნი უნდა იყვნენ. ცხადია, აღნიშნულ სასწავლებლის შუხუთში გახსნა სხვებთან ერთად მაინცა და მაინც არც შუხუთელებისთვის იქნება ხეირი. ამ სასწავლებლით თუ ისარგებლებს, ისევ.ის ორიოდე შეძლებული ოჯახი და მედუქნე, რომელნიც ამ სასწავლებლის შუხუთში გახსნით მოელიან თავიანთ ჯიბის გასქელებას.

ამ რიგად, შუხუთი არც ლანჩხუთის საბოქაულოს გაუხდება „ცენტრად“ და არც თვით ლანჩხუთის (ე. ი. თავის) საზოგადოებას, და ამიტომ ხსენებულ სასწავლებლის შუხუთში დაარსებით არა თუ მარტო იმ (შუხუთის დასავლეთით მდებარე) ექვსი საზოგადოების ინტერესები იზღუდება, არამედ თვით იმ სამი საზოგადოებისაც კი (აკეთი, აცანა და ნიგოითი), რომელთა ინტერესებსაც ასე ოსტატურად სულზე იხვევენ ბ-ნნი შუხუთელი, გ. პ. და პედაგოგი.

ყველა ამის მიუხედავად ბ-ნი გ. პ. მაინც გაიძახის „ტიფ. ლისტ.“-ის მე-26 ნომერში: „ს. შუხუთში ხსენებულ სასწავლებლის გახსნით დაინტერესებულია ოთხი-ათას კომლიანი ვეებერთელა რაიონიო“. საიდან მოუყარა თავი გ. პ. ამ 4000 კომლს, ალაჰმა უწყის! როგორც ზემოთაც დავამტკიცე, ბ-ნნი შუხუთელი გ. პ. და პედაგოგი მხოლოდ სამი საზოგადოების ინტერესებს იხვევენ ხელზე. სამ საზოგადოებას გულისხმობენ: ნიგოითის, აკეთის და აცანის. მატერიალური დახმარება (შინაურის განაჩენით) აღუთქვა შუხუთს მარტოდ მარტო აცანამ, ისიც ბევრის ხვეწნისა და მუდარის შემდეგ. ნიგოითის მცირე ნაწილმა მხოლოდ თანაგრძნობაზე მოუწერა ხელი, ხოლო აკეთმა ამგვარ თანაგრძნობაზედაც უარი უთხრა: ამნაირად, დარჩა ამ საქმეში დაინტერესებული და პასუხის-მგებელი მარტო შუხუთი, რომელშიაც აღწერილობით ითვლება არა უმეტეს 206 კომლისა. თუ მივუმატებთ ამას უფრო სიტყვიერად თანამგრძნობელ აცანის 300 კომლს და ნიგოითიდან კიდევ 100 კომლს, გამოვა 606 კომლი. აი, ამ 606 კომლის.გასადიდებს სცდილობს ბ-ნი გ. პ. 4000 კომლად. მარტო ლანჩხუთში (შუხუთის გამოკლებით) ამავე დროს ითვლება არა ნაკლებ 600 კომლისა. ხოლო დახმარება იქნება თუ საჭიროება მოითხოვს) არა ნაკლებ რვა საზოგადოებისა. მკითხველი ადვილად მიხვდება, თუ ჩვენგანი რომელი უფრო იცავს მცხოვრებთა უმეტესობის ინტერესს—ჩვენ, თუ ბ-ნნი შუხუთელი, გ. პ. და პედაგოგი?

ქვევით, ბ-ნნი შუხუთელი და გ. პ. ირწმუნებიან, რომ (თუ ამ სასწავლებელს შუხუთში გახსნიან) შუხუთელები მზად არიან გაიღონ ერთ დროულად 20,000 მანეთამდის, ხოლო ყოველ წლობით იხადონ სასწავლებლის შესანახად 3540 მანეთამდისაო. მე კი ყველა ეს ღრუბლად მიმაჩნია და აი რატომ: როგორც ზემოდაც აღვნიშნე, საგრძნობელ მატერიალურ დახმარების იმედის შუხუთელებს არსაიდან არ უნდა ჰქონდეთ, მაშასადამე, ზემო აღნიშნულ ხარჯის გაწევა უნდა იკისროს მარტოდ-მარტო 206 კომლიანმა შუხუთმა, თვითეულმა კომლმა უნდა გასწიოს ხარჯი ერთ დროულად არა ნაკლებ 80 მანეთისა, ხოლო ყოველ წლობით იხადოს (ე. ი. ხარკად დაიდოს) თვრამეტ-თვრამეტი მანეთი ნუ თუ ასეთ ხარჯისა და ხარკის დადება შუხუთლების კისერზე მათი ინტერესების დაცვაა?! აბა რა წარმოსადგენია, რომ ამოდენა ხარჯსა და ხარკს გაუძლებს ერთი სოფელი?!*)

**ტ. ართმელაძე.**

(დასასრული იქნება)

*) იხ. „დროება“ N 58.

*) იხ. მათი წერილები «ბატუმსკ. იხ. ვესტია»-ში NN 57, 58, 59 და «ტიფლის. ლისტკ»-ში N 26.

# რუსეთი

✦ **ვის გაუგონონ!?** წარსულ წლის აგვისტოს პერმის გუბერნატორმა ბოლოტოვმა დაათვალიერა კიშტიმის ქარხნები. გუბერნატორს თან ინგუშები ახლდნენ, უცნობები თავს დაეცნენ ინგუშებს და კარგა მაგრა სცემეს. ამის გამო დააპატიმრეს რამდენიმე კაცი და მათ შორის ადგილობრივი ვაჭარი ულიანოვი. გამომძიებელმა ულიანოვს ხელწერილი ჩამოართვა, რომ იგი კიშტიმს არ მიატოვებს. გამომძიებელს საქმე ჯერაც არ დაუმთავრებია. თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში ულიანოვს გუბერნატორის ბრძანება მოუვიდა, ოცდა-ოთხ საათში მიატოვე კიშტიმიო. ულიანოვს უარი განუცხადებია, ხელწერილი ჩამორთმეული, რომ კიშტიმი არ მივატოვოო, მაგრამ მისთვის ყურადღებაც არ მიუქცევიათ და ძალით განუდევნიათ კიშტიმიდან. ვის უნდა გაუგონოს!? (რეჩი)

✦ **სენატორ გლიშჩინსკის რევიზია.** ამ ჟამად ციმბირის ყველა დაწესებულებებს რევიზიას უკეთებს სენატორი გლიშჩინსკი. გლიშჩინსკის აუარებელი მასალა შეუგროვებია, საიდანაც სჩანს, რომ ციმბირის დაწესებულებებში თვითეული მოხელე თავისთავს მოვალედ სთვლის ბოროტმოქმედება ჩაიდინოს, ამბობენ რომ სენატორ გლიშჩინსკის ბევრ დიდ და პატარა მოხელეს მისცემს სამართალშიო.

✦ **სათუთ დასჯის შესახებ კანონპროექტის ბედი.** როგორც ვიცით სახელმწიფო საბჭოს კომისიამ უარჰყო სახელმწიფო სათათბიროს მიერ მიღებული კანონპროექტი სათუთ დასჯის შესახებ. „რუს. ვედ.“ სიტყვით იუსტიციის მინისტრის თხოვნით საბჭოს კომისია ხელმეორედ განიხილავს ამ კანონპროექტს.

✦ **სამღვდელოებაში.** „რუს. სლ.“ კურსკიდან დეპეშით ატყობინებენ: კურსკის ეპარქიაში ბევრი მრევლი უმღვდლოდ არის. მღვდლობის და მედავითნეობის მსურველი ძალიან ცოტაა. არ იციან რა ჰქნანო.

✦ **ადმინისტრაციის მოქმედება.** ქალაქ სიმბირსკის ადმინისტრაციის განკარგულებით მთელ გუბერნიაში დაუკეტიათ შემდეგ საზოგადოებათა განყოფილებანი: სტამბის მუშათა პროფესიონალურ კავშირის, ხელზედ მოსამსახურეთა საზოგადოების, რკინიგზაზედ მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირის, სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში მომუშავეთა საზოგადოების, მკერვალთა და მკერვალქალთა კავშირის და მეჩექმეთა კავშირისა.

✦ **იაპონიის ჯაშუშის დაპატიმრება.** „რუსკოე სლოვო“-ს ტაშკენტიდან 10 მარტის თარიღით დეპეშით ატყობინებენ: პოლიციამ დააპატიმრა იაპონიის ჯაშუში, ამასთან ერთად უკანასკნელ დღეებში დააპატიმრეს ბევრი იაპონელი და ჩინელი. ამბობენ, რომ ამათ დაპატიმრებას იაპონიის ჯაშუშის დაპატიმრებასთან აქვს დამოკიდებულებაო.

✦ **დაპატიმრება.** 10 მარტს ასტრახანში დაუპატიმრებიათ ადგილობრივი ვაჭარი შარიშევი. შარიშევს უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში 13 მცირე-წლოვანი ქალიშვილი გაუპატიურებია. ქალიშვილები 9—10 წლისანი არიან. დაპატიმრების დროს შარიშევს 9 წლის ქალიშვილი სასაფლაოზე წაუყვანია, დარაჯს შეუმჩნევია ეს და დაუპატიმრებია.

✦ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: ხარკოვში 1, პეტერბურგში 2, სამარაში 1, ოდესაში 3, უფაში 2, ეკატერინოსლავში 4 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: ტაშკენტში 1, პეტერბურგში 2, ოდესაში 1, ეკატერინოსლავში 3 კაცი.

✦ **ტუსაღების მოკვლა.** „რეჩ“ კიევიდან ატყობინებენ: სოფელ ბარარტაში გლეხებმა სოფლის სამართველოდან ძალით გამოიყვანეს ორი ტუსაღი, რომელთაც ქურდობა ბრალდებოდათ, და კეტებით და ქვებით დახოცესო.

# განცხადებანი


**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ-ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—63)

**ქუთაისში**

◀ **კიწმარაშვილის და ამხ.** ▶

**თესლეულობის მაღაზიაში** მიღებულია სხვა და სხვა თესლეულობა ახალ ბოსტნეულის, ყვავილების და ბალახების: იონჯის, სამყურის და კოინდრისა აქვე იყიდება საგანგებოდ დამზადებული ძმათა პასხალიდების თეთრი აბრეშუმის თესლი. მსურველთ კატალოგი უფასოდ ეგზავნებათ. (25—კვ.—8)

**შემთხვევით იყიდება**

საბაკალეინო მაღაზია კარგ ადგილზე. იკითხეთ მაღაზი ში: კირონჩნისა და ნიკოლოზის ქუჩების კუთხეში, № 78—37. (1—184—1)

ვ. უიფიანის დრამა

**სამეგრელოს მთავარი ◀ ლევან**

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად გამოცემა გაზ. „დროების“ რედაქციისა და კ. მესხიევისა.

**ფასი ორი აბაზი**

იყიდება „დროების“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

◀ **სრული პასუხის მგებლობა** ▶

**მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ საუკეთესოდ მოვაწყე**

**„ფეხსაცმელების სახელოსნო“**

გვაქვს მზად შეკერილი ფეხსაცმელები ქალებისთვის, კაცებისთვის და ბავშვებისთვის საკუთარი ნამუშავარი—შევროსი, ხრომისა და სხვა მასალისა, აგრეთვე ვკერავთ შეკვეთით სწრაფად, მკვიდრად და დანიშნულ ვადაზედ. საქონლის ხიკარგისათვ ს ვკისრულობ სრულ პასუხის მგებლობას. ადრესი: წყნეთის ქუჩა, სახლი ჩითაროვისა № 28.

პატივისცემით — გ. სვ. ბერძენიშვილი.

◀ **სრული პასუხის მგებლობა** ▶ (25—6.—7)

**მთავარი მოგებანი:**

◀ **75,000, 40,000, 20,000, 15,000, 10,000 და სხვა** ▶

მთავრობის ფულის ლატარია, რომელიც ხუთ-კლასად არის გაყოფილი და მოხდება ვარშავის სახელმწიფო ბანკში.

**ლატარიის გამგეობა** პირდაპირ კერძო პირებზე ბილეთებს არა ჰყიდის, ბილეთებს ჰყიდიან რწმუნებული კოლექტორები. ფოსტის ხარჯი და სატირაჟო ცხრილების დაგზავნა საბანკირო სახლის ხარჯით.

მოგება იძლევა დაუყოვნებლივ ბილეთის წარდგენის დღეს.

**ტირაჟი მოგებათა:**

3, 26 და 27 მარტს 1910 წ.

4, 26 და 27 აპრილს 1910 წ.

**ფასები მე-3 ან მე-4 კლასში მონაწილეობისთვის:**

(სხვა კლასის მოგებაში მონაწილეობის მიუღებლად)

ა) მოგების დროს ბილეთის ფასის გამოკლებით: მთელი ბილეთი 8 მანეთი, $^1/_2$ ბილეთი 4 მანეთი, მეოთხედი ბილეთი 2 მანეთი.

ბ) მოგების დროს ბილეთის ფასის გამოუკლებლივ: მთელი ბილეთი 12 მანეთი, $^1/_2$ ბილეთი 6 მანეთი, $^1/_4$ ბილეთი 3 მან.

$^1/_{10}$ ათ მთელ ბილეთში . . . 12 მან. — „

$^1/_{20}$ „ „ „ . . . . 6 მან. — „

**პაიები 3, 4 და 5 კლასზე:**

$^1/_{5}$ ნაწილი ბილ. 18 მან. — კ.

$^1/_{10}$ „ „ 10 მან. — „

$^1/_{20}$ „ „ 4 მან. 50 „

შეიძლება ნაწილ-ნაწილად: ნახევარი მეკვ. დროს, ნახევ. აპრილში.

**Л. В. ЛАНДАУ и К°.**

საბანკირო სახლი
Варшава, Братская 13.

ადრესი დეპეშებისთვის:
„Варшава Ландаубанкъ“

(Д. и Э. Мецль и К°. N 20,118). 4—6.—3)

**ისარგებლეთ შემთხვევით**

მივიღეთ დიდ-ძალი ტრიკოულობა, სულ დარჩეული, ახალი მოდის მანერები და ვყიდით ძალიან **დაკლებულ ფასებში,** რადგან ვსპობთ ტრიკოულით ვაჭრობას. ადრესი: შუა ბაზარი, მანთაშევის პასაჟი, გ. დ. ჯავახოვისა, № 20—21. (4—1042—4)




**ურჩევთ ყველას,**

**მიიღონ**

ინტელიგენტი მომუშავენი, **ხელზე მოსამსახურე და**

**ყველა**

◀ **პროფესიის მუშები** ▶

რჩევისათვის ვიღებთ 20 კაპ. მხოლოდ დამქირავებელთაგან.

კანტორა ღიაა დილის 9 საათ. საღამოს 6 საათამდე. კვირაობით და უქმე დღეებში შუადღის 12 საათამდე. (5—გაყ.—1)

◀ **ვაცხადებთ ტფილისის საზოგადოების** ▶

**საყურადღებოდ,**

რომ ამ დღეებში ვერის დაღმართზე № 7 გაიხსნება **გაუმჯობესებული**

**ორთქლის აბანო**

**ნომრებით.**

(1—გაყ.—1) პატივისცემით **ზ. აბრამიშვილი.**

**გამოვიდა და იყიდება ახალი წიგნი კ. პ. კანდელაკისა**

**კოოპერაცია**

(თეორია ისტორია და პრაქტიკა).

გამოცემა „შრომის“ სტამბის ამხანაგობისა.

**შინაარსი:** რა არის კოოპერაცია, კოოპერაციის მიზანი, ისტორია, სხვა და სხვა გვარი კოოპერაცია: მომხმარებელი საზოგადოება. მწარმოებელი ამხანაგობანი, საკრედიტო კოოპერატივები. კოოპერაცია სოფლად. ანგარიში კოოპერატიულ დაწესებულებებში. მნიშვნელობა კოოპერაციისა კოოპ. ჩვენში. ✦ **წიგნის ფასი 35 კაპ.** ✦

ვინც ხუთ ცალზე მეტს დაიკვეთს დაეთმობა 25% დაკლებით. ერთი ცალის მსურველს ქალაქ გარეთ შეუძლია 35 კაპ. ღირებული საფოსტო მარკა გამოგზავნოს. გასაგზავნი არ გადახდება. გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, Типографія „Шрома“ Василію К. Болквадзе. (10—6.—10)

**სამანუფაქტურო მაღაზია**

**ა. ი. ამირაღოვისა**

**თამამშევის ქარვასლაში №№ 19, 20, 22 და 23.**

აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ არა ჩვეულებრივი სიიაფეა საქონლისა:

**სიურა**—არშინი 35 კაპ.

**ატლასი**—$^{10}/_{16}$ ვერ. 25 კ. არ.

**ატლასი**—$^{11}/_{16}$ ვერ. 45 კ. არ.

**ფლორენტინი**—35 კაპ. არშ.

**რალამე**—48 კაპ. არშინი.

**ბურსო**—70 კაპ. არშინი.

**სატინა მერველიე** 1 მან. არშ.

**სატინა მერ სანჟი**—70 კ. არშ.

**ფაია ფრანგული** სახიან. 1 მ.

**მანჩესტერი**—40 კაპ. არშ.

„ სახიანი—50 კაპ. არშ.

**ხავერდი**—რომელიც წინად 1 მან. 60 კაპ. ფასობდა, ეხლა 70 კაპ. არშ.

**შალის საქონელი მოსკოვის ფაბრიკებისა** $1^1/_2$ არშინის სიგანისა 30% დაკლებით იყიდება. **ვუალი** მატყლისა სახიანი 60 კაპ. არშ. **საზღვარ-გარეთისა** საზაფხულო, რომელიც წინად 1 მ. 65 კ. იყიდებოდა არშინი, ეხლა 60 კაპ.

**ავეჯეულობის პლუში** ხარისხი B. 2 მ. და 2 მ. 20 კ.; ხარისხი Б. 2 მ. 75 კ. არშინი.; ხარისხი A. 3 მან. არშინი.

**ავეჯეულობის ატლასი** ხარისხი II. 26 ვერ. 1 მ. 30 კ.; ხარისხი I. „ „ 2 მ. 25 კ.

**ავეჯეულობის „ბახრომა“** 10 კაპ. და 18 კაპ. არშ.

**ბახრომა** ბადით—1 მან. 20 კ. არშ.

**აბრეშუმის პლუში** $10^1/_2$ ვერ. 1 მ. 20 კ.

„ „ 14 ვერშ. 1 მ. 70 კ.

**ფასები შეუვაჭრებლად.** (5—178—4)